# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 25 მარტი, 2011 წელი.

№55 (6667)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## მოვითხოვთ ყურადღებას!

# რატომ აზარალა თავისი ანგარებიანი გადაწყვეტილებით საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი მელაძემ სახელმწიფო ბიუჯეტი სულ მცირე თორმეტი მილიონი ლარით?

## რატომ არავინ არ სთხოვს მას ამისთვის პასუხს და, რაც მთავარია, რად არ კეთდება არაფერი ვითარების გამოსასწორებლად?

### – ამ კითხვით მივმართავთ პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციებს, პარლამენტს, იუსტიციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრებს, კონტროლის პალატის ხელმძღვანელობას...

**გუშინწინ** ტელევიზიით კიდევ ერთხელ გადაიცა სიუჟეტი სახელმწიფო სახსრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების თაობაზე: იმისთვის, რომ, როგორც ეს კონტროლის პალატის შემოწმებით გამორკვეულა, 2007 წლიდან მოყოლებული, აგრარულ უნივერსიტეტში ტენდერის არასწორად, ანგარებიანი მიზნებით ჩატარების გამო სახელმწიფო ბიუჯეტს მილიონ თერთმეტი ათასი ლარი დაუკარგავს, საქმეში უკვე პროკურატურა ჩარეულა. წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს უნივერსიტეტის ყოფილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კიდევ რამდენიმე იქაური მუშაკი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რამდენიმე წარმომადგენელიც. გამოძიებით, ალბათ, ყველაფერი დადგინდება.




მელა(ძე)ს „სამართალი!“

მილიონ თორმეტი ათასი ლარის დატაცებისა თუ გაფლანგვისთვის დამნაშავენი, ცხადია, უნდა დაისაჯონ, მაგრამ **თავისი ერთი ანგარებიანი გადაწყვეტილებით ბიუჯეტისთვის სულ მცირე ათჯერ მეტი ზარალის მიმყენებელ საჯარო მოხელეს ხომ ასევე ათჯერ მეტად უნდა მოეკითხოს?**

ის კიდევ, პასუხი აგოს კი არა, პარლამენტის ტრიბუნიდან გვმოძღვრავს გამუდმებით და გვიდგენს „სამართალს“.

ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეზე მოგახსენებთ, **გიორგი მელა**(ძე)**ზე.**

სწორედ მან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თამჯდომარედ მუშაობისას, თავისივე ბრძანებით 2005 წლის 11 სექტემბრისთვის დანიშნა ტენდერი, რომელსაც უნდა გამოევლინებინა ის ყოველდღიური გაზეთი, ყველაზე იაფად რომ გამოაქვეყნებდა საბიუჯეტო ორგანიზაციების სატენდერო განცხადებებს.

ანგარებიანი გადაწყვეტილებით ტენდერმა, რომლის კომისიის თავმჯდომარეც უფალი **მელა**(ძე) ბრძანდებოდა, „გამარჯვებულად“ გამოაცხადა გაზეთი – „24 საათი“, რომელიც თავისი ფართის ყოველი კვადრატული სანტიმეტრისთვის 21 აშშ ცენტის ეკვივალენტს ითხოვდა ლარებში (მაშინდელი კურსით – 38,4 თეთრს).

„საქართველოს რესპუბლიკამ“ კი, რომელმაც **გაითვალისწინა, რომ საქმე ეხებოდა საბიუჯეტო ორგანიზაციებს და, შესაბამისად, სახელმწიფო სახსრებს, ქვეყნისთვის მათი შეძლებისდაგვარად დაზოგვის მიზნით და იმისთვისაც სამადლობლოდ, რომ ხელისუფლებამ მაშინ პრესა გადასახადებისგან გაათავისუფლა, თავისი ყოველი კვადრატული სანტიმეტრისთვის ბევრად ნაკლები – მხოლოდ 10 თეთრი მოითხოვა.**

ყოველგვარი კომენტარის გარეშეც ხომ ნათელია, მკითხველო, რაოდენ **„ობიექტურად“** ჩატარებულა ის **„ტენდერი“** და როგორაც **„გაფრთხილებია“** საბიუჯეტო სახსრებს მაშინდელი მაღალჩინოსანი საჯარო მოხელე **გიორგი მელა**(ძე)?

იხ. 2 გვ.



ჯონი აფაქიძე

## ქართველი მკვლევარი მსოფლიო მეცნიერების ასპარეზზე

## კოლხეთი – მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში

6

## საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ღვაწლი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა

5





## ემუქრება თუ არა საფრთხე დავით გარეჯას?

## რაც „ხარს“ არ ეპატიებოდა, „იუპიტერს“ ეპატიება?!

4

**მოვითხოვთ ყურადღებას!**

# რატომ აზარალა თავისი ანგარებიანი გადაწყვეტილებით საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი მელაძემ სახელმწიფო ბიუჯეტი სულ მცირე თორმეტი მილიონი ლარით?

(პირველი გვერდიდან)

მაინც კონკრეტულად რამდენით აზარალა ბიუჯეტი ჩვენმა ამჟამინდელმა კანონმდებელმა „მოძღვარმა" თავისი იმჟამინდელი ანგარებიანი გადაწყვეტილებით?

ამის გასარკვევად დავთრებში დიდხანს რომ არ ვიქექოთ, „24 საათის" თუნდაც გუშინდელი, 24 მარტის ნომერი ავიღოთ, რომლის 24 გვერდზეა გამოქვეყნებული საბიუჯეტო ორგანიზაციათა სატენდერო განცხადებები. ეს ამ გაზეთის საგაზეთო ფართობის 24 ათასი კვადრატული სანტიმეტრია. **ებითი საშუალო მაჩვენებელია. თანაც, ამჟამინდელი, ადრინდელზე საგრძნობლად დაბალი კურსით ნაანგარიშევი.**

**უფალი მელა**(ძე) **კი სახელმწიფო ინტერესების დამცველის მანტიამოსხმული გვმოძღვრავს და მორალს გვიკითხავს პარლამენტის ტრიბუნიდან!**

ჩვენ სულაც არ ვაპირებთ იმავეს გაკეთებას მასთან მიმართებაში!

უაზრობაა!!

**ამიტომაც მოვითხოვთ ყურადღებას და რეაგირებას ამ პუბლიკაციის ქვესათაურში აღნიშნული სახელმწიფო**




გაამრავლეთ, პატივცემულო მკითხველნო, ეს ციფრი 21 აშშ ცენტის დღევანდელ ეკვივალენტზე, მიღებული 35,7 თეთრი **(არადა, გეხსომებათ, 2005 წლის შემდგომ პერიოდში ზოგჯერ ერთი აშშ დოლარი ამჟამინდელივით 1,7 ლარი კი არა, ორი და მეტი ლარიც ღირდა, რითაც „24 საათისთვის" გადასახდელი თანხაც, ცხადია, საგრძნობლად იზრდებოდა)** კი – 24 ათასზე, ხოლო მიღებული ციფრი არა ოცდაათზე (სწორედ ამდენჯერ გამოდის ეს გაზეთი თვეში), არამედ, თუნდაც მხოლოდ ოცზე.

**მიიღებთ 2.056.320 ლარს.**

**„საქართველოს რესპუბლიკაში" კი მათი პუბლიკაცია 576 ათასი ლარი დაჯდებოდა!**

**ეს, ვიმეორებთ, მიახლო-** **ხელმძღვანელ-მაკონტროლებელი ორგანოების თავკაცთაგან:**

ბატონებო, ვფიქრობთ, თქვენც დაგვეთანხმებით, რომ ის ორი მიზანი, რომლის მიღწევასაც წინამდებარე პუბლიკაცია ისახავს, უთუოდ ყურადსაღებია.

პირველი ის არის, რომ **დიდძალი საბიუჯეტო სახსრები, რომლებიც მავანის უგუნური თუ ანგარებიანი გადაწყვეტილებით წყალში იყრება** (უფრო სწორად, მავანთა ჯიბეში ილექება), **სახელმწიფო საქმეს მოხმარდეს.**

და მეორე: **ამის მისაღწევად დროა, ბოლო მოეღოს მონოპოლიას** (ამ შემთხვევაში **მელა(ძი)ს** მიერ უკანონოდ დაკანონებულს), **რითაც, როგორც ვნახეთ, საქვეყნო საქმე ზარალობს.**

**დაბოლოს, ერთი კითხვაც: ტენდერი, რომლის „გამარჯვებულის" ტახტზეც მელა(ძი)ს ხელდასხმით აგერ უკვე ექვსი წელია, მორჭმით ზის „24 საათი", არასოდეს აღარ უნდა ჩატარდეს?!**

**სამიდღემშიოს ხომ დღეს პრეზიდენტსაც ვერ იტანენ თვით არაგულ სამყაროშიც კი?**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია**

**სკანდალი ქუთაისში**

## ბურჭულაძეს „უხუმრია", პრეზიდენტს „ვერ გაუგია"...

**მოდად იქცა – თუ თავის დამკვიდრება გინდა, ნიჭი არ არის არსებითი. რაც შეიძლება მეტი უცენზურო სიტყვების გამოყენებით ნოველა ან რომანი გამოაცხე და პოპულარობაც მოსულა! მწერლების ერთი ნაწილი სწორედ ასე ცდილობს საკუთარი თავის დამკვიდრებასა და მკითხველების მოზიდვას. საამისოდ შოუ-წარმოდგენას იშველიებენ, ეტყობა წიგნებს ასე უფრო ადვილად ასაღებენ.**

ერთ-ერთი მსგავსი საღამო სწორედ ქუთაისში გაიმართა. ოპერის ფოიეში სამი მწერლის – დათო ტურაშვილის, ლაშა ბუღაძისა და ზაზა ბურჭულაძის წიგნები იყიდებოდა. სცენაზე ჯაზბენდი უკრავდა, სამივე მწერალი რიგ-რიგობით ადიოდა სცენაზე და საკუთარი ნაწარმოებებიდან ნაწყვეტებს კითხულობდა.

ქუთაისელებმა სცენაზე სათამაშო რევოლვერით „შეიარაღებული" ზაზა ბურჭულაძე იხილეს, რომელმაც ჯერ მაყურებელს მასაჟის გაკეთება შესთავაზა, შემდეგ კი თქვა: „ქურდებს – სიცოცხლე, ბოზებს – სიკვდილი"! ამ სიტყვებს მაყურებელთა ერთი ნაწილი ტაშით შეხვდა, ნაწილმა კი, დაახლოებით 15-მდე ადამიანმა, დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა.

„როცა ქუთაისის ინტელიგენციას ასეთ შეურაცხყოფას აყენებენ, ჩვენ იმ დარბაზში არ გავჩერდებით"... ყველაფერს აქვს საზღვარი. არ შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენო ქალაქს და მკითხველს"... „ეს სხვა ტრადიციების ქალაქია და უხამსობა არ ეკადრება..." „ახლა მაგის წიგნები დავიკავო და ვიკითხო"?.. – ამ სიტყვებით გააპროტესტა ბურჭულაძის სიტყვები ქუთაისის ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა. ეს კარგად ჩანს ინტერნეტით გავრცელებულ ვიდეოში.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მწერალ ზაზა ბურჭულაძეს გამოფხიზლებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, მწერლის სიტყვებმა იგი შეურაცხყო. „ზოგიერთი ისე არის დაკავებული საკუთარი თავის ტკბობით, რომ ვერ შეამჩნია ქვეყანაში მომხდარი ცვლილებები. ზოგიერთი წარსულში ჩარჩა და ვერ შეამჩნია, როგორ შეიცვალა ქუთაისი, საქართველოც. არავინ მისცემს მათ საშუალებას, ზევიდან ქვევით იყუროს, აბუჩად აიგდოს, დაამციროს და რომელიღაც ძველი ეპოქის სტერეოტიპებით ელაპარაკოს"...

თავად ზაზა ბურჭულაძემ პრეზიდენტის ამ განცხადებას სრული მოულოდნელობა უწოდა. მან „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, რომ სიტყვები „ქურდებს – სიცოცხლე, ბოზებს – სიკვდილი" ქუთაისში ხუმრობით თქვა და იმედი ჰქონდა, რომ საზოგადოება ამას ხუმრობით აღიქვამდა.

„რა თქმა უნდა, ეს ხუმრობა იყო. ნამდვილად არ მეგონა, ასე შეხვდებოდნენ, იმიტომ რომ ქუთაისი იუმორით განთქმულია და დარწმუნებული ვიყავი, რომ ადეკვატური რეაქცია იქნებოდა. იყო კიდევაც ადეკვატური რეაქცია – ნაწილმა, რომელმაც დარბაზი დატოვა, იმათაც თავისებურად გამოხატეს იუმორი", – განაცხადა ბურჭულაძემ.

ბურჭულაძემ გამოსავალი იპოვა – ყველაფერი ხუმრობაში გაატარა... და თავის დაძვრენა სცადა. მისი ეს სიტყვები თავის გამართლებას უფრო ჰგავდა, ვიდრე პრეზიდენტის აზრის გაბათილებას.

ბურჭულაძის მხარდასაჭერად და პრეზიდენტის საწინააღმდეგოდ საგანგებო განცხადება გაავრცელა პენ-ცენტრმა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

**ნატა ნიბლაძე**

**საქართველოს პენ-ცენტრის განცხადება**

## „პრეზიდენტის განცხადება ზიანს აყენებს მწერალ ზაზა ბურჭულაძეს და მის სხვა კოლეგებს"...

**23 მარტს საქართველოს ნაციონალური მაუწყებლობებით გავრცელდა პრეზიდენტის განცხადება, რომელიც შეეხებოდა მწერალ ზაზა ბურჭულაძის მიერ ქალაქ ქუთაისში გამართულ ქართველი მწერლების ანთოლოგიის პრეზენტაციაზე წარმოთქმულ რეპლიკას.**

საქართველოს პენ-ცენტრი შეშფოთებას გამოთქვამს პრეზიდენტის ხსენებული განცხადების პათოსის გამო, რომელიც უნებლიეთ გვახსენებს უახლეს წარსულს, როდესაც საბჭოთა ოფიციოზი რეგლამენტირებდა და არეგულირებდა მწერლის ენას და მის ურთიერთობას მკითხველთან, როდესაც პოლიტიკოსები მიუთითებდნენ მწერალს, თუ რა თემაზე ელაპარაკა და როგორ; რა უნდა მოსწონებოდა და რა არა, რისი დანახვა იყო მართებული და რისი არა სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში.

საბჭოთა პერიოდში, ლიტერატურის მოთვინიერებისა და სოციალიზაციის მიზნით, მწერლები იგზავნებოდნენ საბჭოთა კოლმეურნეობებში, ჰესების და ელექტროსადგურების მშენებლობებზე, სამხედრო ნაწილებში, დამკვრელური ტემპით განვითარებად სოფლებში, დაბებსა თუ ქალაქებში, რათა თვალნათლივ დაენახათ და ხოტბა შეესხათ საბჭოთა სახელმწიფოს „მიღწევებისათვის." პრეზიდენტის 23 მარტის გამოსვლა უსიამოვნო ასოციაციას გვიჩენს ხსენებულ დროსთან.

21-ე საუკუნეში საქართველოს პრეზიდენტი არ უნდა მიუთითებდეს ამა თუ იმ მწერალს, რომელი მშენებარე თუ დასრულებული შენობ-ნაგებობების დანახვა და დაფასებაა აუცილებელი. ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტის გამონათქვამებს გაცილებით დიდი გავლენა აქვს, ვიდრე სახელმწიფო ინსტიტუციებს, ვშიშობთ, რომ მსგავსმა განცხადებებმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს, როგორც მწერალ ზაზა ბურჭულაძეს, ასევე მის სხვა კოლეგებს. იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში პრეზიდენტი პოლიტიკური ტრიბუნიდან აღარ შეაფასებს, დაახასიათებს და დაახარისხებს მწერლებს, ასევე არ მიაყენებს მათ შეურაცხყოფას ნაციონალური მაუწყებლობებიდან. ასევე, ვფიქრობთ, რომ ტელეკომპანია „იმედის" 23 მარტის „ქრონიკის" სიუჟეტი იყო ტენდენციური და პროვოცირებას უწევდა კონფლიქტის წარმოშობას ლიტერატორებს შორის.

**საქართველოს პენ-კლუბი**

**ბრიფინგი**

## პედაგოგებს მანდატურის კრიტიკა ეკრძალებათ?!

### რატომ გაათავისუფლეს მე-8 საჯარო სკოლის მასწავლებელი?

**ენდობით თუ არა მანდატურის ინსტიტუტს? – კითხვა არ შეიძლება სკოლაში დასაქმებულ პედაგოგებს დაუსვათ, რადგან მათ უარყოფითი აზრის გამოთქმის უფლება მაინც არა აქვთ. დიახ! არა აქვთ, რადგან ეს შეიძლება პედაგოგის კარიერისთვის საბედისწერო აღმოჩნდეს...**

სწორედ ასე მოხდა თბილისის მე-8 საჯარო სკოლაში, სადაც მათემატიკის მასწავლებელმა ლალი კიკნაძემ ხმამაღლა თქვა, რომ მანდატური სკოლისთვის არცთუ აუცილებელი ელემენტია და რომ წესრიგის დამყარება მასწავლებლებსაც ადვილად შეუძლიათ. რეფორმით უკმაყოფილო მასწავლებლის შესახებ მანდატურმა გიორგი ინასარიძემ გაიგო, რომელმაც სკოლის დირექტორს ოფიციალურად მოსთხოვა ლალი კიკნაძის სამსახურიდან გათავისუფლება. სკოლის დირექტორმა ელისო ნიკოლაიშვილმა პედაგოგს ურჩია განცხადება დაეწერა, რის შემდეგ რამდენიმე დღეში კვლავ აღადგენდა. როცა მასწავლებელმა ეს პირობა არ მიიღო, დირექტორმა თავად გაათავისუფლა.

ამასთან დაკავშირებით ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" აღმასრულებელმა დირექტორმა ნაზი ჯანეზაშვილმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მან აღნიშნა, რომ ეს არის მანდატურის უფლებამოსილების გადამეტება, ამიტომაც ორგანიზაციამ სარჩელი საქალაქო სასამართლოში შეიტანა.



პედაგოგის განცხადებით, მისთვის გაუგებარია, რის საფუძველზე დაითხოვეს სკოლიდან, „არავითარი სამართლებრივი მიზეზი არ არსებობს. ამის შესახებ დირექტორსაც კი არ გამოუთქვამს პრეტენზია. უბრალოდ, ჩემი შეხედულებისამებრ მანდატურის ინსტიტუტი გავაკრიტიკე. ეს იყო და ეს", – ამბობს ლალი კიკნაძე.

**ნაზი ჯანეზაშვილის აზრით, მასწავლებელი უსაფუძვლოდ არის გათავისუფლებული: „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" ითხოვს მასწავლებლის სამსახურში აღდგენას და მისთვის მორალური და ფინანსური ზარალის ანაზღაურებას". როგორც პრესკონფერენციაზე განაცხადეს, ადამიანს არ უნდა შეუზღუდონ აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება, მით უფრო, დაუშვებელია მისი დასჯა. „ორგანიზაცია მომავალშიც გააგრძელებს მსგავს ფაქტებზე რეაგირებას და საზოგადოებას მოუწოდებს, მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია ცალკეული დარღვევის შესახებ", – დასძინა ნაზი ჯანეზაშვილმა.**

**ნია ფიფია**

## განცხადება

# ხელისუფლებას სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარების პოლიტიკური ნება კვლავაც არა აქვს!

**როგორც ცნობილია, რვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობენ მოლაპარაკებებში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე**

**— ოპოზიციური „რვიანი" საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებებს მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში გააგრძელებს! — ასეთია პოლიტიკური „რვიანის" პოზიცია, რომელიც მან იმ განცხადებით გამოხატა, ახლა რომ გთავაზობთ.**

„2010 წლის ოქტომბერში საზოგადოებას საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელი რეფორმების კომპლექსური გეგმა გავაცანით და ხელისუფლებას ამ საკითხებზე დიალოგის გამართვა შევთავაზეთ. ჩვენი — საკმაოდ განსხვავებული იდეოლოგიისა და ხედვების მქონე პოლიტიკური პარტიების „რვიანად" წოდებულ ფორმატში გაერთიანება აღნიშნული საკითხის განსაკუთრებულმა სახელმწიფოებრივმა მნიშვნელობამ განაპირობა.

დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის 20 წლის განმავლობაში ეროვნული მასშტაბის 20-მდე არჩევნების ჩატარების მიუხედავად, საქართველო საარჩევნო დემოკრატიად ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა: ქვეყანაში თავისუფალი არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის პრეცედენტი დღემდე არ შექმნილა; მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ჯგუფები წარმომადგენლობითი ორგანოების მიღმა რჩებიან და მთავარი პოლიტიკური პროცესები ქუჩაში ვითარდება; წარმომადგენლობით ორგანოებში მოხვედრილი მცირერიცხოვანი ოპოზიციური ჯგუფები გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენას ვერ ახდენენ; უსამართლო საარჩევნო სისტემის, ადმინისტრაციული და საპოლიციო რესურსის ბოროტად გამოყენების და საარჩევნო რესურსებზე (მედია, ფინანსები) მონოპოლიის წყალობით ხელისუფლება ამკვიდრებს ერთპარტიულ, უკონკურენციო მმართველობის სისტემას, რომელიც ყოველ მომდევნო არჩევნებს დემოკრატიის შინაარსს კიდევ უფრო მეტად აცლის.

ამგვარი „არჩევნები" მოსახლეობის სულ უფრო მეტ ნაწილს არჩევნების გზით პოლიტიკური ცვლილებების მიღწევის იმედს უკარგავს. ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველო იმყოფება გზის გასაყართან: ან ჩვენ საარჩევნო გარემოს ფუნდამენტურ ცვლილებებს მოვახერხებთ, მოქალაქეებს არჩევნებისადმი ნდობას დავუბრუნებთ და სამართლიანი კონკურენციის პირობებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა (ან ძალები) ქვეყნის მართვას გააგრძელებენ, ან ქვეყნის მართვის სადავეები უზურპატორის — ნეობოლშევიზმის გზაზე დამდგარი მოქმედი ხელისუფლების ან მისი დამამხობლის ხელში აღმოჩნდება ამის ადვილად პროგნოზირებადი შედეგებით.

შექმნილი ვითარების ამგვარმა ხედვამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყება გადაგვაწყვეტინა, მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მას ამგვარი მოლაპარაკებები მხოლოდ საკუთარი პიარკამპანიისთვის არაერთხელ გამოუყენებია. ხელისუფლებასთან დიალოგის ხუთი თვის შემდეგ თავს ვალდებულად ვთვლით, საზოგადოებას ვამცნოთ დღეისათვის არსებული რეალობა: **ხელისუფლებას სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარების პოლიტიკური ნება კვლავაც არა აქვს; ხელისუფლება ჯერ კიდევ არ არის იძულებული, საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობას სათანადო ანგარიში გაუწიოს და სწორი ნაბიჯები გადადგას.**



ჩვენი ეს დასკვნა ემყარება შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებს: დიალოგის დაწყების მომენტში (2010 წლის ნოემბერი) ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე არანაირი ინიციატივა არ ჰქონდა; დიალოგის პირველ ეტაპზე (2010 წლის ნოემბერ-დეკემბერი), როდესაც მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს უნდა შეემუშავებინათ და წარმოედგინათ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკუთარი ხედვები, „ნაციონალურმა მოძრაობამ" რაიმეს შემუშავებასა და წარმოდგენაზე უარი თქვა; დიალოგის პირველი ეტაპის ბოლოს, მას შემდეგ, რაც „რვიანმა" (აგრეთვე რამდენიმე სხვა მონაწილემ) ყველა მნიშვნელოვან საკითხზე პრეზენტაციები დაასრულა და პროცესის მონაწილეებს საჭირო რეფორმების პაკეტი გადასცა, „ნაციონალურმა მოძრაობამ" წარმოდგენილი წინადადებების გასაცნობად და საკუთარი პოზიციების შესამუშავებლად ერთი თვე ითხოვა. დიალოგის მეორე ეტაპის დასაწყისში (2011 წლის იანვრის ბოლო) „ნაციონალურმა მოძრაობამ" საკუთარი პოზიციების ჩამოსაყალიბებლად კიდევ ერთი თვე (თებერვალი) ითხოვა. აღნიშნული ერთი თვე კვლავ ისე ამოიწურა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" არაფერი წარმოადგინა, გარდა ამომრჩეველთა ბიომეტრიული აღრიცხვისთვის საჭირო ყოვლად დაუსაბუთებელი ფინანსური გაანგარიშებისა (მაგალითად, ათეულობით მილიონი დოლარი ხარჯებში ორჯერ იყო ჩათვლილი); მიუხედავად დიალოგის პროცესში დადგენილი წესისა, რომ მხარეებს წინასწარ წერილობით უნდა ეცნობებინათ ერთმანეთისთვის საკუთარი მოსაზრებები, „ნაციონალურმა მოძრაობამ" 2011 წლის 9 მარტს (დიალოგის დაწყებიდან 4 თვის თავზე) საკუთარი მოსაზრებები რამდენიმე საკითხზე პრესკონფერენციის საშუალებით გვამცნო; იმავე დღეს გამართულ **შეხვედრაზე გაირკვა, რომ ხელისუფლებამ მოამზადა არა პასუხები და არგუმენტები ჩვენს შეთავაზებებზე, არამედ საკუთარი ინიციატივები, ანუ ის, რაც მას 4 თვით ადრე უნდა გაეკეთებინა და მაშინ ამაზე უარი განაცხადა;**

დიალოგის დაწყებიდან 4 თვის თავზე (2011 წლის 9 მარტს) წარმოდგენილი წინადადებებით ხელისუფლება ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წლების განმავლობაში დასმულ ლოკალური ხასიათის ცალკეულ საკითხებს შეეხმიანა (გასაჩივრების ვადის გაზრდა 2-დან 3 დღემდე, საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევის შეზღუდვა, გადასატანი ყუთი და სხვა), რაც არსებულ პრობლემებს ოდნავადაც ვერ ეხმიანება; ვითომ შეეხმიანა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წლების განმავლობაში არაერთხელ დასმულ პრობლემას — მაჟორიტარულ ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობის დისბალანსი — და დღეს არსებული 2000%-3000%-იანი სხვაობები 1000%-2000%-მდე შეამცირა, ნაცვლად რეკომენდებული 10%-15%-ისა; საერთოდ არ შეეხმიანა ჩვენს მიერ დასმულ ფუნდამენტურ და სისტემურ პრობლემებს (ადმინისტრაციული რესურსი, მედია, ფინანსები, გამჭვირვალობა, საარჩევნო დღის პროცედურები, საარჩევნო დავების განხილვის სისტემა და სხვა); შემოგვთავაზა საარჩევნო სისტემის ცვლილება კიდევ უფრო უარესი მიმართულებით — მაჟორიტარული ოლქების რაოდენობის კიდევ უფრო ზრდა პროპორციული სისტემით გასანაწილებელი მანდატების ხარჯზე, ან ძველი ბალანსის შენარჩუნება პარლამენტის წევრთა რეფერენდუმით განსაზღვრული საერთო რაოდენობის (150) გაზრდის ხარჯზე; ამომრჩეველთა აღრიცხვასა და სანდო სიების ფორმირებაზე პრაქტიკულად უარი თქვა, ვინაიდან ბიომეტრიული მონაცემებით თბილისს გარეთ (სადაც ყველაზე მეტი პრობლემაა) ამომრჩეველთა აღრიცხვასა და თბილისის ამომრჩეველთა აღრიცხვის დაფინანსებაზეც (ოპოზიციამ და დონორებმა მოიძიონ საჭირო თანხები!) უარს ამბობს.

ამ კონკრეტულ საკითხზე 5 თვის განმავლობაში გადაწყვეტილების მიუღებლობა კი ცაიტნოტურ ვითარებას ქმნის. ყველა იმ საკითხზე, რომელიც 2011 წლის 9 მარტის პრეზენტაციაში არ აისახა, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი საარჩევნო კოდექსის მოქმედ დებულებებს მხარს უჭერენ, თუმცა შესაძლოა, რაღაც გადაისინჯოს.

გამოდის, რომ **ხელისუფლებას, რომელიც კონსტიტუციურ რეფორმებს თვენახევარში ატარებს ხოლმე, ჩვენს საარჩევნო წინადადებებზე კონკრეტული პასუხების გასაცემად 5 თვე არ ეყო**. ხელისუფლების ამგვარი პოზიცია დიალოგის დასაწყისშიც კი უპასუხისმგებლო დამოკიდებულად ჩაითვლებოდა, მაგრამ პროცესის მე-5 თვეს იგი უკვე დიალოგის პროცესის ჩაშლაზე პასუხისმგებლობის აღების ტოლფასია.

**აშკარაა, რომ საარჩევნო საკითხებზე დიალოგს ხელისუფლება იყენებს არა საარჩევნო პრობლემებში უკეთ გასარკვევად, არგუმენტირებული, რაციონალური ინიციატივების მოსასმენად და ფართო პოლიტიკური კონსენსუსის მისაღწევად, არამედ დროის გასაჭიანურებლად, მთავარი ოპონენტის („რვიანის") მოთმინებიდან გამოსაყვანად, მოლაპარაკებების ჩაშლის სხვისთვის გადასაბრალებლად და დასავლეთის დედაქალაქებში ნაცნობი მესიჯის გასაგზავნად — „რა ვქნა, ვის შევუთანხმდე, ხომ იცით, ვისთან მაქვს საქმე?!...".**

შესაბამისად, ჩვენ ვალდებულნი ვართ, მივმართოთ ადეკვატურ ზომებს და განვაცხადოთ:

**1. ოპოზიციასთან, პირველ რიგში „რვიანთან" შეთანხმების გარეშე ხელისუფლება არჩევნებს ვერ ჩაატარებს, ხოლო თუ ჩაატარებს, ეს იქნება არა არჩევნები, არამედ ხალხის ბრძოლა უზურპატორ ხელისუფლებასთან. ჩვენ გვინდა არჩევნები, მაგრამ ბრძოლისთვისაც მზად ვართ;**

**2. ჩვენ მოლაპარაკებებს არ ვწყვეტთ, მაგრამ მზად ვართ, ეს პროცესი მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური ნაბიჯების გადმოდგმის შემთხვევაში გავაგრძელოთ;**

**3. ხელისუფლების ადეკვატური დამოკიდებულების მანიშნებელი იქნებოდა, მაგალითად, გადაწყვეტილების მიღება მთელს ქვეყანაში ამომრჩეველთა ბიომეტრიულ რეგისტრაციაზე და საარჩევნო სისტემის რეფორმაზე, რომელიც პოლიტიკურ ძალებს შორის საპარლამენტო ადგილების განაწილებას მიღებული ხმების პროპორციულად მაქსიმალურად უზრუნველყოფდა;**

**4. ჩვენ გვჯერა ჩვენი პოზიციების სისწორის, ჩვენს ნაბიჯებზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვიღებთ და სამოქალაქო საზოგადოებასთან და თითოეულ მოქალაქესთან ერთად ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობილ საარჩევნო ნიჰილიზმს აუცილებლად დავძლევთ;**

**5. ვთვლით, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ვითარება სათანადოდ უნდა შეაფასოს და ქართველ ხალხს დემოკრატიული არჩევანის შენარჩუნებაში დაეხმაროს. საჭირო და შესაძლებელი ნაბიჯები გუშინ, შესაძლოა, ადრე იყო, მაგრამ ხვალ უკვე გვიან იქნება".**

**„პირველი"**

## ინფორმაცია

### პატიმრები კვლავ ტუბერკულოზით იხოცებიან

**გუშინ** თბილისის საკრებულოს ქრისტიან-დემოკრატმა წევრმა ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ზაზა გაბუნიამ ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა.

ამასთან დაკავშირებით მან 2010 წლის ბოლოს ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოადგინა.

შედეგად ირკვევა, რომ პატიმართა შორის სიკვდილიანობის მთავარ მიზეზად კვლავ ტუბერკულოზი რჩება. 2010 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილთა 60%, ხოლო მეორე ნახევარში 37% გარდაცვალების საფუძვლად აღენიშნება ტუბერკულოზი. ამის მიზეზი კი დაგვიანებული სამედიცინო ჩარევაა, — განაცხადა გაბუნიამ.

ჯი-ეიჩ-ენი



ვითარება

# რაც „ხარს“ არ ეპატიებოდა, „იუპიტერს“ ეპატიება?!

## ემუქრება თუ არა საფრთხე დავით გარეჯას?



**სამხედრო წვრთნები და დავით გარეჯის მონასტერი — თემა, რომელიც 23 წლის წინათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი იყო, დღესაც აქტუალურია. ოპოზიციური პარტიების ნაწილის მტკიცებით, მე-6 საუკუნის უნიკალურ სამონასტრო კომპლექსთან თავდაცვის სამინისტრო სამხედრო სწავლებას საარტილერიო მომზადების თანხლებით ატარებს.**

„ახალი მემარჯვენე“ ფიქრია ჩიხრაძის მიერ 21 მარტს გამართული პრესკონფერენციის თემას „ქართული პარტიის“ ლიდერებიც გამოეხმაურნენ და მონასტრისკენ ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად დაიძრნენ. პარტიის ახალგაზრდა წევრებმა წვრთნების შეჩერების მოთხოვნით სამანქანე გზა გადაკეტეს. სოზარ სუბარი პოლიგონზე არ ყოფილა, ქვემეხები და სხვა საარტილერიო დანადგარები არ უნახავს, თუმცა სასულიერო პირების ნათქვამზე დაყრდნობით განაცხადა, რომ მონასტრის ახლოს გარკვეული ინტენსივობით ჭურვების გასროლის და ავტომატური ჯერის ხმაც ისმის. სუბარი 1998 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იშველიებს და აცხადებს, რომ წვრთნების გამართვით თავდაცვის სამინისტრო კანონს არღვევს:

**„ახალგაზრდებმა გზა გადაკეტეს როგორც საგარეჯოს, ისე გარდაბნის მხრიდან. ჩვენ ხელთ გვაქვს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1998 წლის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, აქ აკრძალულია ნებისმიერი სახის სამხედრო წვრთნების ჩატარება. გვახსოვს, რომ გარეჯის პოლიგონის გაუქმებისთვის ხალხი ქუჩებში დროშებით დარბოდა... რა თქმა უნდა, სროლები და მათი სიმძლავრე ისეთი ინტენსივობის არ არის, როგორც ეს**




**საბჭოთა დროს იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ვიბრაცია დიდ ზიანს აყენებს ქარით, წვიმითა და სხვა ბუნებრივი მოვლენით დაზარალებულ კომპლექსს. ამასთან, იმავე გადაწყვეტილებაში, რომელზეც მოგახსენეთ, ოთხი ინსტიტუტის სპეციალისტების დასკვნაა წარმოდგენილი. ფიზიკოსებმა, გეოლოგებმა, სეისმოლოგებმა და კიდევ სხვა სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ გარეჯის მონასტერზე ნებისმიერი ტიპის სროლა დამანგრეველ გავლენას ახდენს. ეს კომპლექსი ქვიშაქვაშია გამოკვეთილი, ხანდაზმულობის გამო ისედაც მძიმე მდგომარეობაშია: ნებისმიერი აფეთქების მიერ მიწაში გამოწვეული ძვრა იმავე ამპლიტუდის მიწისძვრაზე მძიმე შედეგს მოიტანს დავით გარეჯისთვის. ეს არის ისტორიის ნგრევა — საბჭოთა კავშირსაც კი შევაცვლევინეთ გადაწყვეტილება და გადავატანინეთ პოლიგონი, ახლა კი ძეგლს ქვეყნის ხელისუფლება აზიანებს.**

**„პოლიგონთან გაცილებით ახლოს არის უდაბნოს მონასტერი, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოხვედრილი და იქ საუკეთესო ფრესკებია — ასე რომ, სამხედრო წვრთნები მონასტრებთან ახლოს მიმდინარეობს. მე კარგად მახსოვს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში თუ როგორი მკაცრი განცხადებები გაკეთდა ბერების მიერ ერთ-ერთ მონასტერში უნებართვო მშენებლობების გამო, ძალიან მაინტერესებს, ახლა რატომ არ აქვს ამ სამინისტროს ასეთივე დამოკიდებულება თავდაცვის უწყების მიმართ“?** — თქვა სუბარმა.

**„ეს საბჭოთა ჯარის ქმედებებს მაგონებს და ყველაფერი ათჯერ მეტად ვანდალური და ამორალურია დღეს, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებისა და თავდაცვის სამინისტროს მხრიდან“,** — აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

თავდაცვის უწყების მხრიდან ოპოზიციის მოთხოვნებს უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სალომე მახარაძე გამოეხმაურა. მისი თქმით, არავითარი საარტილერიო მომზადება მონასტრის სიახლოვეს არ მიმდინარეობს, იქ მხოლოდ რეზერვისტთა მომზადების საწვრთნელი ბაზაა და სწავლებები არავითარ საფრთხეს არ უქმნის კულტურული ძეგლის კონსტრუქციას.

ფიქრია ჩიხრაძემ კი, „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში თავდაცვის უწყებაში გაკეთებული განცხადებები საბჭოთა დროის ჩინოვნიკების 23 წლის წინანდელ კომენტარებს შეადარა:

**„გაგახსენებთ, დაახლოებით 2 თვის წინათ ქართველმა სპეციალისტებმა გამოაქვეყნეს დასკვნა, რომლის თანახმად, კლდოვანი მასა, რომელზეც დგას დავით გარეჯის ლავრა და სადაც გამოკვეთილი სენაკებია, საგანგაშო მდგომარეობაშია. დრომ თავისი კვალი დააჩნია უნიკალურ ძეგლს, უდაბნოს, ქარისა და მცხუნვარე მზის პირობებში, ბუნებრივია, იფიტება ეს კლდოვანი მასა. მგონი, დიდი დაკვირვება და ექსპერტული ცოდნა არ არის საჭირო, რომ კიდევ დამატებით ვიბრაციული ელემენტების შეტანა დამანგრეველ ზიანს მიაყენებს ძეგლს. თქვენ თუ თვალი შეავლეთ სტუდია „ჯი ენ ესის“ მიერ მომზადებულ სიუჟეტს, დააკვირდებოდით, აფეთქებების როგორი ხმა ისმის — წარმოუდგენელია, ეს ხმა არ იწვევდეს უარყოფით ეფექტს დავით გარეჯის ლავრაზე. ბოლო პერიოდში გარეჯში არ ვყოფილვარ და ვაპირებ უახლოეს მომავალში ჩავიდე, თუმცა საკითხი ბუნდოვანი რომ არ ყოფილიყო, ამიტომაც უნდა შექმნილიყო სანდო საზოგადოებრივი საბჭო ვითარების გასარკვევად.**

**საერთოდ, ხომ შეიძლება არ ვიყოთ „დიადი საბჭოთა კავშირის“ ტრადიციის გამგრძელებლები და სამხედრო წვრთნების ჩასატარებლად სხვა ადგილები გამოვიყენოთ?! მაინცდამაინც დავით გარეჯისკენ უნდა გვეჭიროს თვალი პოლიგონის მოსაწყობად, თუნდაც ეს რეზერვისტთა მომზადების კურსები იყოს?! სულ მცირე, სასროლეთი მაინც ხომ უნდა იყოს მოწყობილი, რომ რეზერვისტებმა სამხედრო წვრთნა გაიარონ? ვთქვათ და დავუჯეროთ თავდაცვის სამინისტროს, რომ იქ საარტილერიო სროლების ხმა არ ისმის და მხოლოდ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ისვრიან, რა გაგვიჭირდა ასეთი, რომ პოლიგონი სწორედ იქ მოვაწყვეთ. იმის თქმაც, რომ სროლების ხმა იშვიათად ისმის და ძეგლს არ აზიანებს, ეს ნამდვილად ბავშვური პოზიციაა. მახსენდება, როცა 23 წლის წინათ ვითხოვდით დავით გარეჯში საბჭოთა არმიის სროლების აკრძალვას, სწორედ ასეთ არგუმენტებს იშველიებდნენ კომუნისტები და ამბობდნენ, რომ იქ დამანგრეველი ძალის სროლები არ იყო. ვფიქრობ, რომ ასეთი მიდგომა არასერიოზულია და ხელისუფლების უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს“,** — აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკა ვაჩეიშვილმა პოლიტიკურ პარტიებს დავით გარეჯის თემის პოლიტიზებაში დაადანაშაულა.




**„არის მცდელობები, რომ არაპოლიტიზებული თემები პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად აქტუალური გახადონ; დავით გარეჯის მონასტრის საკითხიც ამ თემათა რიგს მიეკუთვნება. სრული პასუხისმგებლობით და სიმშვიდით მინდა გითხრა, რომ დავით გარეჯის პოლიგონს არავითარი კავშირი არ აქვს იქ არსებულ სიძველეებთან. იქ მიმდინარე წვრთნა, დიდი ტერიტორიული დაცილებისა და რელიეფის გამო, საერთოდ არ უკავშირდება უძველეს მონასტრებს. მეტსაც გეტყვით, ვიცი და დღესაც კიდევ ერთხელ დაგიდასტურებთ, რომ დიდი მეგობრობა და თბილი ურთიერთობაა ჩვენს სამხედროებსა და სამღვდელოებას შორის. ასე რომ, წვრთნით მოსალოდნელი საფრთხის შესახებ საუბარი გადაჭარბებულია და თეთრისთვის შავის დარქმევის მცდელობაა“,** — განაცხადა ნიკა ვაჩეიშვილმა.

რაც შეეხება „ქართული პარტიის“ ლიდერის სოზარ სუბარის განცხადებას იმის შესახებ, რომ 1998 წლის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავით გარეჯში ყოველგვარი სამხედრო წვრთნა აკრძალულია, ვაჩეიშვილმა განმარტა, რომ დავით გარეჯის უდაბნო დიდ ტერიტორიაზეა გადაჭიმული და გადაწყვეტილებაში მხოლოდ სამონასტრო კომპლექსზეა საუბარი.

**„დავით გარეჯით“ სპეკულაცია არ უნდა გავაკეთოთ. საქმე ეხება ძალიან დიდ ტერიტორიას. გავიხსენოთ, რა ხდებოდა საბჭოთა კავშირის დროს: სწორედ ეს მონასტრები იყო საბჭოთა წვრთნების სამიზნე, ამ მონასტრებს ესროდნენ ჭურვებს, მათ ძირში იყო დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები. ახლა კი ქართული საჯარისო საწვრთნელი ბაზა არის სრულიად სხვა ტერიტორიაზე და არავითარი კავშირი არ აქვს მონასტერთან. ასე რომ, ამ ვითარების სხვაგვარად წარმოჩენა არის ძალიან არასწორი საქციელი“,** — აღნიშნა ვაჩეიშვილმა.

* * *

ბუნებრივი პირობებით მასშტაბური დაზიანებების მიუხედავად, დავით გარეჯი ამ დრომდე არ არის შეტანილი საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის საგანგებო ნუსხაში. ბოლო დამატებები ამ სიაში გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ 2009 წლის 30 ივნისს სევილიაში, კომიტეტის სხდომაზე შეიტანა. თუმცა, ამ ჩამონათვალში მოხვდნენ მცხეთის ისტორიული ძეგლები, გელათის სამონასტრო კომპლექსი, ბაგრატის ტაძარი და ზემო სვანეთის ძეგლები. საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ძეგლები შეიარაღებული კონფლიქტის, ომის, მიწისძვრისა და სხვა სტიქიების, ასევე, გაუკონტროლებელი ურბანიზაციის გამო შეაქვთ ხოლმე. ძეგლის ამ სიაში შეტანა ნიშნავს, რომ მის გადარჩენას განსაკუთრებული საერთაშორისო ჩარევა და სასწრაფო დახმარება სჭირდება.

* * *

მონასტერი 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა — წმინდა დავით გარეჯელმა VI საუკუნეში დააარსა. წმიდა დავითი გარეჯის მთის ბუნებრივ გამოქვაბულში დასახლდა და შექმნა პირველი მონასტერი, რომელსაც დღეს წმინდა დავითის ლავრა ეწოდება. ამავე საუკუნეში მისმა მოწაფეებმა დააარსეს კიდევ ორი სამონასტრო განშტოება: დოდომ — დოდოს რქა, ხოლო ლუკიანემ — ნათლისმცემელი. დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს გარე კახეთში და გადაჭიმულია გარეჯის მთის ნახევრად უდაბურ კალთებზე 25 კილომეტრის მანძილზე. დავით გარეჯის მონასტრების შემდგომი აყვავება-განვითარება IX საუკუნის წმიდა მამის — ილარიონ ქართველის სახელთან არის დაკავშირებული. მან გააფართოვა და გადააკეთა წმიდა დავითის მიერ გამოკვეთილი ეკლესია, ხოლო შემდგომ კი დავით აღმაშენებლის ძემ და „შენ ხარ ვენახის“ ავტორმა, დემეტრემ ხელი შეუწყო კომპლექსში რელიგიური და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებას.

XI საუკუნეში გარეჯის მონასტერს თურქ-სელჩუკები შეესივნენ. გარეჯის სამონასტრო კომპლექსმა განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია XI-XIII საუკუნეებში. დაარსდა ახალი მონასტრები — უდაბნო ბერთუბანი და ჩიჩხიტური, გაფართოვდა და კეთილმოეწყო დავითის ლავრა, რომელიც პატარა ხეობის ორივე კალთაზეა გაშენებული. მონასტერში, სადაც თავდაპირველად ბინა დაიდო წმინდა დავითმა, მოეწყო ტერასიანი ეზო, აშენდა ახალი სენაკები, სატრაპეზო და ეკლესია. კლდეში გაიჭრა წყალშემყვანი არხები და რეზერვუარები. ამავე პერიოდს მიეკუთვნება კედლის მხატვრობაც ეკლესიებსა და სატრაპეზოებში. უდაბნოს მონასტერში საფუძველი ჩაეყარა გარეჯის სამხატვრო სკოლას, რომელმაც თავისი შემოქმედების მწვერვალს ბერთუბნის მოხატულობაში მიაღწია. გარეჯის ფრესკების მნიშვნელობას განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მან შემოინახა ბევრი ისტორიული პირის პორტრეტი — წმინდა დავით აღმაშენებლისა — ნათლისმცემლის უდაბნოში, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის — ბერთუბანში, დიმიტრი თავდადებულისა და სხვა ქტიტორებისა — უდაბნოში.

**მალხაზ ჭკადუა,**
**„ინტერპრესნიუსი“**

ინფორმაცია

## ნათელმხილველი ვანგა სიკვდილის შემდეგაც გვაშინებს

**ცნობილ ბულგარელ ნათელმხილველს ვანგას ნაწინასწარმეტყველები აქვს იაპონიის ბირთვული კატასტროფაც და მისი საშინელი შედეგიც.**

**„ყოველივეს შედეგად განადგურებული იქნება ყველაფერი ცოცხალი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში“, — ამის შესახებ ნათქვამია ვანგას წინასწარმეტყველებებში, რომლებიც 2011 წელს ეძღვნება: ბრმა ნათელმხილველი ამბობდა, რომ რადიოაქტიური ნალექის მოსვლის შემდეგ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში არ დარჩება არც ცხოველები და არც მცენარეები. ამის შემდეგ მუსულმანები ქიმიურ ომს დაიწყებენ ცოცხლად დარჩენილი ევროპელების წინააღმდეგ.**

**უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის რამდენიმე რაიონში, რამდენიმე დღის წინათ მოსულ წვიმაში, რადიოაქტიური იოდისა და ცეზიუმის კვალი იქნა აღმოჩენილი.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 55. პარასკევი, 25 მარტი, 2011 წელი.

**სულიერება**

# საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ღვაწლი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა

**ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში ადგილობრივი ეკლესიის ავტოკეფალურობა – საკუთარი სამწყსოსა და საქმეების დამოუკიდებელი გამგებლობა, ამ ეკლესიის განსაკუთრებულ პატივსა და იმ ღირსებებზე მეტყველებს, რომელთა წყალობითაც მან ეს დამოუკიდებლობა მოიპოვა.**

როგორც ჩვენი ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ პირველად ავტოკეფალია მეხუთე საუკუნეში, ანტიოქიის საპატრიარქოსაგან, ჩვენი დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის დროს მიიღო. დიდ სახელმწიფო მოღვაწესა და ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ მებრძოლს ღრმად ჰქონდა შეგნებული სახელმწიფოსათვის არა მხოლოდ ეკლესიის სულიერი მეთაურობის, არამედ იმ ჰარმონიის მნიშვნელობაც, რომელიც სასულიერო და საერო ხელისუფლებას შორის უნდა სუფევდეს, რათა ქვეყანა სულიერადაც და მატერიალურადაც დაწინაურდეს და გაძლიერდეს. ბუნებრივია, რომ ამგვარი სრული ჰარმონიის დამყარება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ეკლესია გარეშე ძალისაგან დამოუკიდებელია და თავის თავს თვითონვე განაგებს. ამიტომაც დაისახა დიდმა მეფემ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მოპოვება მიზნად. თვით ყველაზე ფრთხილი მეცნიერებიც კი, რომელნიც ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას“ შეიძლება ზოგჯერ მეტისმეტად კრიტიკულადაც კი უდგებიან, ვერ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ, როდესაც იგი ვახტანგის დროს ქართული ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მიღებაზე მოგვითხრობს, სანდოა, რადგან ამ შემთხვევაში თვით საეკლესიო ტრადიციაში შენახულ უტყუარ წყაროებს ეყრდნობა.

მართალია, ანტიოქიის საპატრიარქოს მომდევნო საუკუნეებში არაერთგზის ჰქონია მცდელობა ქართულ ეკლესიაზე თავისი უფლებების განცხადებისა, მაგრამ, როგორც ეს ჩვენს მეცნიერებაშია აღნიშნული, ვახტანგ მეფის დროს ქართლის ეკლესიის მიერ მიღებული ავტოკეფალია იმდენად კანონიერი და ზუსტად არგუმენტირებული ყოფილა, რომ ანტიოქიის პატრიარქის ამგვარი მცდელობანი ყოველთვის მარცხით დამთავრებულა.

ერთ-ერთ ასეთ მცდელობაზე ცნობას გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ავტორი გიორგი მცირეც გვაწვდის. ანტიოქიის პატრიარქმა თეოდოსიმ წმ. გიორგი მთაწმინდელი დაიბარა და მოსთხოვა ერჩია საქართველოს მეფისათვის, რომელიც წმიდა მამას დიდ პატივს სცემდა, რომ რამდენადაც ქართულ ეკლესიას, როგორც არა სამოციქულოს (ანუ არა მოციქულთა მიერ დაარსებულს), თვითმმართველობის უფლება არ ჰქონდა, იგი ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეეყვანა. პასუხად გიორგი მთაწმინდელმა „ანდრია მოციქულის მიმოსვლათა“ წიგნი დაიმოწმა და პატრიარქს უთხრა, რომ თუ იგი წმ. მოციქულ პეტრეს ტახტზე იჯდა, ქართველები მისი ძმის, ქრისტეს უპირველესი მოწაფის ანდრიას მიერ იყვნენ „მოქცეულნი და განათლებულნი“, და დაამატა, რომ საქართველოში ანდრიას გარდა ქრისტიანობა თორმეტ მოციქულთაგან, კიდევ ერთს, სიმონ კანანელსაც ჰქონდა ნაქადაგები: „ერთი წმიდა ათორმეტთა მოციქულთაგანი, – სიმონს ვიტყვი კანანელსა, – ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს, აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულ ვართ“.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის საპატრიარქოს შემოტევა ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობაზე არა მხოლოდ მოიგერია, არამედ პატრიარქს საქართველოს ეკლესიის ერთგვარი უპირატესობაც კი აგრძნობინა, როცა უთხრა, რომ პირიქით, სწორედ ანტიოქიის ეკლესიას შეეფერებოდა მორჩილება ქართული ეკლესიისა, ისევე, როგორც პეტრეს თავისი ძმის, ანდრიასი, რომელმაც მას ქრისტეს მიმდევრობისათვის მოუწოდა. გიორგი მთაწმინდელის ღრმა განათლებითა და სულიერი სიმტკიცით გაოცებულ თეოდოსის აღფრთოვანება ვერ დაუმალავს და თავისიანებისთვის უკითხავს: „ხედავთა ბერსა ამას, ვითარ მარტო ესოდენსა სიმრავლესა გვერევისო“ და ურჩევია, ფრთხილად ყოფილიყვნენ, რათა ის, რაც სიტყვით თქვა, საქმითაც არ აღესრულებინა.

როგორც გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, მე-9 საუკუნეში ქართულ ეკლესიას თავისი ავტოკეფალურობა კიდევ უფრო სრულყვია და განუმტკიცებია იმით, რომ გრიგოლ ხანძთელის მოწაფის, აწყურის ეპისკოპოსის ეფრემის ღვაწლით, მირონის, რომელიც მანამდე „იერუსალმით მოჰყვანდა“, კურთხევის უფლება, თავად იერუსალიმის პატრიარქისავე თანხმობით, მოუპოვებია: „ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმის პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით“. ალბათ, ეს ღვაწლიცაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აწყურის ეპისკოპოსს გიორგი მერჩულე **დიდ ეფრემად** მოიხსენიებს.

საუკუნეთა ქარცეცხლში გამოტარებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიამ 1812 წელს გააუქმა, რაც მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო იმ ქვეყნის მხრიდან, რომელმაც თითქმის ერთი საუკუნით ადრე, პეტრე პირველის დროს, საკუთარ ეკლესიას პატრიარქის ინსტიტუტის მოსპობით ფაქტობრივად თვითმმართველობა წაართვა და იგი სახელმწიფოს დაუქვემდებარა. მართალია, 1917 წელს საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა, მაგრამ სამწუხაროდ, მისი დამოუკიდებლობა კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქომ არ სცნო. მიუხედავად მეოცე საუკუნეში მოღვაწე ქართველ კათოლიკოს-პატრიარქთა მცდელობისა, ქართული ეკლესიისათვის კუთვნილი სტატუსის აღდგენა კარგა ხნის განმავლობაში არ მოხერხდა.



1964 წელს ყოველთა მართლმადიდებელთა კრებაზე, რომელიც კუნძულ როდოსზე გაიმართა, საქართველოს ეკლესიის მხრიდან მონაწილეობას იღებდა ახლადნაკურთხი ეპისკოპოსი შემოქმედის ეპარქიისა ილია შიოლაშვილი, დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც მაშინ 31 წლისა ბრძანდებოდა. საქართველოს ეკლესია ამ კრებაში კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოში შემავალი ავტონომიური ეკლესიის სტატუსით მონაწილეობდა. მის უწმიდესობას ცხარე კამათი მოუხდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დელეგაციის მეთაურთან – მიტროპოლიტ მელიტონთან იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეკლესია არც ავტონომიური იყო და მით უმეტეს არც მსოფლიო საპატრიარქოში შედიოდა, რადგან ავტოკეფალიის მიღებამდე არა კონსტანტინეპოლის, არამედ ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა. როგორც უწმიდესი და უნეტარესი იხსენებს, კამათში მას მხარი აქტიურად ბრიუსელის მთავარეპისკოპოსმა ვასილი კრივოშეინმა დაუჭირა, რომელიც თავის დროზე ათონის წმ. მთაზე ცხოვრობდა და ბრწყინვალედ იცოდა ბერძნული ენა. ამ ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ, წარმოშობით პეტერბურგელმა, დავისას საქართველოს ეკლესიის პოზიცია დაიცვა.

საქართველოში დაბრუნებულმა შემოქმედის ეპისკოპოსმა კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ მეორეს მოახსენა, რომ უკვე დაწყებული იყო მოლაპარაკება მსოფლიო საპატრიარქოსთან და აუცილებლად უნდა გაეგზავნათ მისთვის საპროტესტო წერილი მისი მხრიდან ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობის არცნობასთან დაკავშირებით. ეს წერილი მართლაც დაიწერა და გაიგზავნა; ასე დაიწყო დავა საქართველოს ეკლესიისათვის კუთვნილი სტატუსის აღდგენის თაობაზე, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და განსაკუთრებით მწვავე ხასიათი 1977 წლიდან მიიღო, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II გახდა.

როგორც უწმიდესი და უნეტარესი ბრძანებს, ამ დავის კეთილად დასრულების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მაშინ კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო ტახტზე დიმიტრიოსი ბრძანდებოდა – თავმდაბლობითა და სულიერობით გამორჩეული ცნობილი საეკლესიო მოღვაწე. სადაო საკითხის გასარკვევად არაერთგზის გაიცვალა დელეგაციები კონსტანტინეპოლისა და საქართველოს ეკლესიებს შორის. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ერთ-ერთ დელეგაციას თავად ყოვლადუწმიდესი მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი მეთაურობდა. ამ ვიზიტმა ძალიან დიდი როლი შეასრულა, რადგან, როცა ყოვლადუწმიდესმა საკუთარი თვალით ნახა საქართველო, ჩვენი ეკლესია და თვითონ დარწმუნდა იმ სულიერ ძალაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სუფევს, მან პირდაპირ უთხრა თავის მიტროპოლიტებს, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი აუცილებლად დადებითად უნდა გადაწყვეტილიყო. კამათში ქართული ეკლესიის ინტერესების დასაცავად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ისტორიკოსები: ზაზა ალექსიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ნოდარ ლომოური და სხვები.

საქმე იმან გაართულა, რომ ბერძნულ მხარეს ეჭვი შეჰქონდა ქართული წყაროების სანდოობაში. საბედნიეროდ, ცნობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის შესახებ ბიზანტიურ წყაროებშიც შემოგვრჩა, კერძოდ, XII საუკუნის ცნობილი კანონისტი და სასულიერო მოღვაწე თეოდორე ბალსამონი, რომელმაც საეკლესიო კანონებისა და საეკლესიო კრებათა დადგენილებების კომენტარები მოგვცა, კონსტანტინეპოლის მე-2 მსოფლიო კრების II კანონის კომენტირებისას წერს: „ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც ღვთაებრივი ქალაქის, დიდი ანტიოქიის უწმინდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე, გამოტანილ იქნა კრების დადგენილება, **რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც** მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს“.

უწმიდესი და უნეტარესი ხშირად იხსენებს, როგორ შეაგროვა ქართულმა მხარემ ყველა საბუთი, რისი მოპოვებაც კი შეიძლებოდა, მათ შორის მელქისედეკ პირველის (1010-1033 წწ.ძ სიგელი, რომელსაც იგი ხელს აწერს როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და რომის პაპების წერილები, რომლებშიც ისინი ქართული ეკლესიის მეთაურს კათოლიკოს-პატრიარქს უწოდებენ, რამაც ბოლოს და ბოლოს ბერძნულ მხარეზე შესაფერისი შთაბეჭდილება მოახდინა.

მკითხველის ყურადღებას ერთ ასეთ ფაქტსაც მივაქცევთ: მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაციამ იმ მიზეზით, რომ აღმოსავლეთის – ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებს – მირონი კონსტანტინეპოლიდან მიჰქონდათ, ქართული ეკლესიისაგანაც იგივე მოითხოვა. მაგრამ საქართველოს ეკლესიას არ სურდა დაკარგვა მირონის მცხეთაში კურთხევის უფლებისა, რომელიც მან ეფრემ დიდის ღვაწლით მოიპოვა. დიდი კამათის შემდეგ მოიძებნა შედარებით კომპრომისული ფორმა: მირონის კურთხევა მოხდეს ტრადიციების მიხედვით. ამგვარი ფორმულირების წყალობით ქართულმა ეკლესიამ მირონის ადგილზე კურთხევის უფლება შეინარჩუნა. საკამათო გახდა, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო დეტალიც, კერძოდ, როგორ მოეხსენებინათ ქართული ეკლესიის მეთაური – კათოლიკოს-პატრიარქი იბერიისა, როგორც ეს ბერძნულ მხარეს სურდა, თუ კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი, როგორც ამას უწმიდესი და უნეტარესი მოითხოვდა. ღმრთის წყალობით, საბოლოოდ მაინც პატრიარქის წინადადებამ გაიმარჯვა.

1990 წლის მარტში საქართველოს ეკლესიის დელეგაცია უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მეთაურობით კონსტანტინეპოლს ეწვია, სადაც მას საზეიმო ვითარებაში გადაეცა ორი სიგელი: ერთი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის, ხოლო მეორე მისი მეთაურისათვის კათოლიკოს-პატრიარქის წოდების ცნობისა. საბედნიეროდ ეს ისტორიული მომენტი ვიდეოფირმა შემოგვინახა, რომელზეც ნათლად ჩანს, როგორი მოწიწებითა და სასოებით აწერენ ხელს ამ დოკუმენტებს მსოფლიო პატრიარქი, ყოვლადუწმიდესი დიმიტრიოსი და კონსტანტინეპოლის ეკლესიის სინოდის წევრები.

კონსტანტინეპოლიდან დაბრუნებულ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელსა და მის თანმხლებ პირებს თბილისის აეროდრომზე ხალხი ანთებული სანთლებითა და გალობით შეეგება. მართლაც დიდი იყო და ენით აუწერელი ის სიხარული, რომელიც მაშინ, 1990 წლის მარტში, მთელმა საქართველომ განიცადა.

**რაც უნდა დიდი საქმე გაკეთდეს, მისი აღნიშვნა სულ რამდენიმე სიტყვითაც შეიძლება, მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში ეს სიტყვებია: საქართველოს ეკლესიამ დაკარგული ავტოკეფალია დაიბრუნა და არა მხოლოდ დაიბრუნა, არამედ განიმტკიცა კიდეც, რადგან მსოფლიო საპატრიარქოსაგან გადმოცემული სიგელების წყალობით, მისი კანონიერების დაცვა მომავალ თაობებს აღარ დასჭირდებათ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს რამდენიმე სიტყვა სრულიადაც ვერ წარმოაჩენს იმ ხანგრძლივსა და რთულ გზას, რომელიც ქართული ეკლესიის მესვეურებმა უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მეთაურობით დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განვლეს. მის დანახვას სულიერი თვალი და მადლიერი გული სჭირდება, ხოლო ამგვარი ხედვა და მადლიერება რომ გქონდეს, მშობლიური ეკლესია და მამული ჭეშმარიტად უნდა გიყვარდეს.**

ზემოთ ვახსენეთ, რომ მომავალ თაობებს ქართული ეკლესიის თვითმმართველობის კანონიერების დაცვა აღარ დასჭირდებათ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაცვა საერთოდ არ სჭირდება, ან არ დასჭირდება. ზეციური მოზეიმე ეკლესიისაგან განსხვავებით, ამქვეყნიურ ეკლესიას მებრძოლს უწოდებენ, რადგან მტრული ძალების შემოტევისაგან თავის დაცვა უნდა შეძლოს. ეს მტრული ძალები ჩვენს ეკლესიას დღესაც ჩასაფრებულნი ყვანან და საქართველოს საბოლოოდ დასამარცხებლად მის გახლეჩაზე ოცნებობენ. მაგრამ როგორც მისმა უწმიდესობამ ბრძანა, ქართველი ერი, რომელსაც კარგად ესმის, რას ნიშნავს მისთვის მშობლიური ეკლესია, ამის ნებას არასოდეს არავის მისცემს.

**გვანცა კოპლატაძე**

№ 55. პარასკევი, 25 მარტი, 2011 წელი.

# მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში

**ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ 2009 წელს გერმანიაში რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი წიგნი გამოაქვეყნა.**

**მონოგრაფია ორ ტომად „Die Spätbronze- und frühe Eisenzeit in West- und Zentralkaukasien. Chronologische Studien zur Kolchis-Kultur:1600-700 v . Chr.“ / „დასავლეთი და ცენტრალური კავკასია გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში. კოლხური კულტურის ქრონოლოგია: ძვ. წ. 1600-700 წწ.“ ეძღვნება საქართველოს ისტორიისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგიის კვლევას. ნაშრომი გამოქვეყნებულია ევროპაში კარგად ცნობილი არქეოლოგიური სერიის გამოცემაში Prähistorische Archäologie in Südosteuropa (პრეისტორიული არქეოლოგია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში).**

გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანა, ისევე როგორც ნებისმიერი პერიოდი ისტორიისა, ბუნებრივია, საყურადღებოა წარსულის კვლევისას, მაგრამ საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიისათვის ეს ხანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე იმის გამო, რომ იგი დაკავშირებულია ამ პერიოდის კოლხურ-ყობანურ კულტურასთან, თუ კულტურებთან.

ნაშრომში წამოჭრილი და გადაწყვეტილია ისეთი პრობლემები, როგორიც არის დასავლეთ საქართველოში ადრერკინის ხანის დაწყება, კოლხური გრაფიკული დეკორის წარმოშობა, ბრინჯაოს ერთწილადი მშვილდსაკინძების ტიპოლოგია და ქრონოლოგია და სხვ. კიდევ უფრო საყურადღებოა ნაშრომის კოლხეთის ნამოსახლარების აბსოლუტური ქრონოლოგიისადმი მიძღვნილი ნაწილი. ავტორი სვამს უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს: როდის ჩნდება ის კერამიკა, რომელსაც კოლხური ეწოდება და ცდილობს პასუხის გაცემას. ის მიიჩნევს, რომ კოლხური კერამიკის ნიმუშები, რომლებიც პირველად შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს ჩნდება, არის არა პროტოკოლხური, არამედ უადრესი ძველკოლხური კერამიკა. მისი აზრით, პროტოკოლხურ კერამიკაში არანაირად არ უნდა ვიგულისხმოთ შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულის კერამიკა „ღარულ-წრიული ორნამენტაციის კოპებთან და ფოსოებთან შეთანხმებით“. კალიბრირებულ თარიღებზე დაყრდნობით, იგი მათ ასაკს ძვ.წ. XVII-XVI სს-ით განსაზღვრავს და პროტოკოლხურიდან კოლხურზე გარდამავალ პერიოდს მიაკუთვნებს.

ძალზე მნიშვნელოვანი და სიახლით გამორჩეულია ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც ეძღვნება კოლხეთის საგარეო კავშირების კვლევას ნამოსახლარების კერამიკული მასალის მიხედვით. ის ეხება ბრინჯაოს ხანის კოლხეთის კერამიკული ნაწარმის მეტად საინტერესო და საყურადღებო ანალოგიებს, რომელსაც ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინ ბ. კუფტინმა მიაქცია ყურადღება, ხოლო შემდეგ მათ ეხებოდნენ სხვა მკვლევარებიც (თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძეძ. ნაშრომის ავტორი პირველია კოლხური კულტურის მკვლევართა შორის, რომელიც არა მარტო ლიტერატურის მიხედვით მსჯელობს კოლხური კერამიკის ამ შორეული ანალოგიების შესახებ, არამედ უშუალოდ გაეცნო ამ მასალებს იტალიის მუზეუმებში (რომი, მოდენა, რეჯიო ემილია, პარმა, ვერონაძ და ჩრდილოეთ იტალიაში, მდ. პოს ხეობაში პირდაპირ გათხრების პროცესში. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მონაკვეთზე თანდართული ლიტერატურის სია, რომელშიც მოცემულია ტერამარების კულტურის შესახებ არსებული, ძირითადად იტალიურ ენაზე გამოქვეყნებული გამოკვლევები თუ პუბლიკაციები.

საყურადღებოა ავტორის დაკვირვება იმაზე, რომ დუნაის აუზის გაყოლებით შეიძლება თვალი გავადევნოთ ზოომორფულყურიანი ჯამების, მომრგვალო სფერული ფორმის ჭურჭლისა და ზოგიერთი იმ ორნამენტული მოტივის არსებობას, რომელიც საერთოა კოლხური და ტერამარების კულტურებისათვის. ავტორს ძალზე მნიშვნელოვან მომენტად მიაჩნია მდ. პოს ხეობაში და კოლხეთში ძვ.წ. XVIII-XII სს ერთი ტიპის ძეგლებზე – ხელოვნურ ნამოსახლარ ბორცვებზე – მსგავსი ფორმის, ფაქტურისა და ორნამენტაციის თიხის ჭურჭლის არსებობა.

ავტორი კოლხური მასალების გარკვეულ პარალელებს ხედავს ძვ. წ. XII ს-ის ბულგარეთის და ტროას ძეგლებთანაც. ამ რეგიონებში გავრცელებულ ე.წ. „კოპებიან კერამიკას“ (Buckelkeramikძ ბევრი საერთო აქვს კოლხეთისა და პოს დაბლობის კერამიკის ორნამენტაციასთან. სწორედ ამ კერამიკაზე ჩნდება პირველად კანელურები, როგორც ტროაში და დუნაის ქვემო წელის აუზში, ასევე დასავლეთ შავიზღვისპირეთშიც. „კოპებიანი კერამიკის“ დათარიღებისათვის ავტორი ეყრდნობა ტროა VIIB$_2$ ფენის უადრეს თარიღს, ძვ.წ. 1120-950 წწ. ამ რეგიონებში კანელურებიანი კერამიკა ძვ. წ. XII ს-ში ან, ავტორის აზრით, უფრო ძვ.წ. XI საუკუნიდან ჩნდება.

> *ჯონი აფაქიძეს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ თავისი ქვეყნის ბრწყინვალე ელჩი ევროპაში და განსაკუთრებით გერმანიაში. მან, თავისი ადამიანური ბუნებით მოახერხა, რომ გერმანიაში თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ექცია მჭიდრო ურთიერთობათა წინაპირობად. მე მას პირადად ძალიან ახლოს ვიცნობ და დიდად ვაფასებ. მე და ჩემი კოლეგებს მასთან ხანგრძლივი სამეცნიერო ურთიერთობა გვაკავშირებს.*
>
> ***პროფესორი ბერნჰარდ ჰენზელი,***
> *ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი*

ნაშრომი გამოირჩევა უხვად მოტანილი უცხოური ანალოგიებით ანატოლიის, ტროას, ეგეოსის სამყაროს, იტალიის ტერამარების, დუნაისპირა ქვეყნებისა თუ დასავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებთან, რომ არაფერი ვთქვათ ე.წ. ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებზე. განსახილველი ნაშრომის დიდ ღირებულებას წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ მასში პირველად, ყველაზე უფრო სრულად არის განხილული ჩრდილო კავკასიური მასალა. ჩატარებულია ძალზე დიდი მოცულობის სამუშაო, შეკრებილია და გათვალისწინებულია დიდძალი არქეოლოგიური მასალა.

ჯონი აფაქიძის ორტომიან მონოგრაფიაში ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით ასევე მრავალმხრივ საყურადღებოა ნახევრადძვირფასი ქვების – ლაჟვარდის, სარდიონის, აქატის, იასპის, გიშრისა და ქარვის მძივსამკაულების წარმოების საკითხის კვლევის შედეგები. ნაჩვენებია ამ მინერალების დიდი მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის კულტურული, სავაჭრო და ეკონომიკური კავშირურთიერთობებისათვის ძვ. წ. II ათასწლეულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მანძილზე.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა კოლხური კულტურის სამაროვნების ქრონოლოგიის კვლევას. ავტორს შემუშავებული აქვს კოლხური კულტურის ისეთი ეტალონური ძეგლის ახალი ქრონოლოგია, როგორიც თლიას სამაროვანია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თლიას სამაროვნის შესწავლის შედეგად მიღებულ თარიღებს დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად კოლხეთის სამაროვნების შესწავლის თვალსაზრისით, რადგანაც ცენტრალური კოლხეთის სამაროვნების კოლექტიურ ორმოსმარხებში გამოვლენილი კომპლექსები ხშირად ერთმანეთშია არეული და, შესაბამისად, ქრონოლოგიური დიფერენციაცია ძალზე ძნელია. თლიას სამაროვნის ავტორისეულ ქრონოლოგიას ახალი სინათლე შეაქვს კოლხური კულტურის სამაროვნების დათარიღებაში.

ავტორის მიერ შემუშავებული თლიას სამაროვნის ახალი ქრონოლოგიის თანახმად, უკვე ძვ. XI ს. მეორე ნახევარში კოლხეთში სახეზეა გრაფიკული დეკორით შემკული ბრინჯაოს ნივთები (თლია II პერიოდიძ, ხოლო რკინის ნივთები ჩნდება ძვ. წ. IX საუკუნიდან (თლია III პერიოდიძ. რაც შეეხება კოლხური კულტურის სხვა ზონებს, აქ რკინის წარმოების დამადასტურებელ მონაცემებს ავტორი უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან ხედავს. ის უთითებს ჩოლოქ-ოჩხამურის, სუფსა-გუბაზეულის, ხობი-ოჩხომურის მეტალურგიულ კერებზე, ყურადღების მიღმა არ ტოვებს რკინის ნივთებს უდესა და ზენითის განძებიდან და ნაოხვამუს ბორცვის III ფენიდან. დამაჯერებელია ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ცენტრალურ კოლხეთში ადრერკინის დასაწყისი ოდნავ წინ უსწრებს განაპირა და მთიან ზონებში (თლია, ყობანი და სხვა.ძ რკინის წარმოებაზე გადასვლას. ძალზე საყურადღებოა ასევე ავტორის დაკვირვება იმის შესახებ, რომ კოლხეთში რკინის კულტურაზე გადასვლა აღმოსავლეთ საქართველოსა და ანატოლიის თითქმის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს.

ჯონი აფაქიძე ნაშრომში დიდ ადგილს უთმობს კოლხური კულტურის ლოკალური ვარიანტების კვლევას. ნაშრომში დეტალურადაა წარმოჩენილი ამა თუ იმ ლოკალური ვარიანტისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. ჯ. აფაქიძეს განხილული აქვს კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხიც, ის სათანადო ფაქტების მოშველიებით გვინბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში სამხრეთი და ჩრდილოეთი კავკასიის კულტურულ ერთიანობას ამტკიცებს. დასავლეთ საქართველოში, თლიასა და ყობანში ლითონის ინვენტარი იმდენად ერთიანია, რომ მათი ერთმანეთისაგან განსხვავება ძალზე ძნელია. მაგრამ ერთიანობა ვლინდება არამარტო წამყვანი ფორმების იგივეობით, არამედ ნივთების დამზადების ტექნოლოგიისა და ქიმიური ელემენტების შემცველობის იგივეობის მხრივაც.

შესრულებული უაღრესად შრომატევადი და რთული სამუშაო ავტორს წარმოგვიდგენს შრომისმოყვარე, სამამულო და საზღვარგარეთული ლიტერატურის ზედმიწევნით კარგად მცოდნე, სოლიდურ მკვლევრად. ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პროფესორი ჯონი აფაქიძე ფართოდ იყენებს იმ ახალ მეთოდებსა და ღირებულებებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში მსოფლიო მეცნიერებისათვის თანდათანობით წამყვანი ხდება, ცდილობს მათ დანერგვას. ამ ამოცანას იგი წარმატებით ართმევს თავს, განსაკუთრებით სათანადო საბუთების მოტანისას ადგილობრივი არქეოლოგიური მასალებიდან.

ნაშრომის ყველა ილუსტრაცია (120 ნახატი და 290 ტაბულაძ მაღალ დონეზეა შესრულებელი. ავტორს ძირითადად შედგენილი აქვს ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულები. ტაბულების შედგენისას დიდი ყურადღება აქვს დათმობილი არამარტო მათ შინაარსობრივ მხარეს, არამედ ტაბულებზე ნივთების განაწილების კომპოზიციების აგების პრინციპებსაც. ყველა ტაბულა კარგად იკითხება და მხატვრულობის თვალსაზრისით სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს და, რაც მთავარია, გამოირჩევა შესრულების სიზუსტით. ამგვარი ტაბულების შექმნისათვის ავტორს ძალზე შრომატევადი სამუშაო

## პროფესორ ჯონი აფაქიძის გერმანიაში გამოცემული ნაშრომთა ციკლის გამო

# ქართველი მკვლევარი მსოფლიო მეცნიერების ასპარეზზე



პროფესორი ჯონი აფაქიძე.



პროფესორ ჯონი აფაქიძის მონოგრაფიის პრეზენტაციაზე გოეთეს ინსტიტუტში შესავალი სიტყვით გამოდის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, ზის პროფესორი ჯონი აფაქიძე




პროფესორ ჯონი აფაქიძის მონოგრაფიისა და ნაშრომთა კრებულის ყდები

*ეს წიგნი მოიცავს საქართველოს უძველესი ისტორიის ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს, სადაც კავკასიასა და შავი ზღვის მიღმა, ევროპის კონტინენტს შორის არსებული მრავალი კულტურული კავშირი გამოვლინდა.*

*ჯონი აფაქიძემ შეძლო ამ უძველესი ხანის უაღრესად გამოკვეთილი სურათის შექმნა და ამასთანავე არსებული კვლევის შედეგების იმგვარი შეჯამება, რომ მიღწეულ იქნა ხარისხობრივად ახალი საფეხური ქრისტეშობამდე მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრისა და პირველი ათასწლეულის პირველ ნახევრამდე ისტორიული მონაკვეთის კულტურულ ფენომენთა გააზრებისას. ეს ნაშრომი იმდენად მნიშვნელოვანია არქეოლოგიური მეცნიერებისათვის, რომ უყოყმანოდ გადავწყვიტე მისი გამოქვეყნება სერიაში „პრეისტორიული არქეოლოგია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში“, რათა იგი მკითხველთა უფრო ფართო წრისათვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი. ჩვენთვის ასეთი წიგნი უაღრესად საჭიროა, ვინაიდან მასში საქართველოს ისტორიის აქამდე უცნობი, უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია განხილული.*

**პროფესორი ბერნჰარდ ჰენზელი,**
**ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი**

აქვს გაწეული და ეს საგანგებოდ იმსახურებს აღნიშვნას.

ჯონი აფაქიძის ორტომიანი მონოგრაფია წარმოადგენს უაღრესად დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მქონე გამოკვლევას. ავტორი არა მარტო კოლხური კულტურის შესახებ მსჯელობას უქმნის ძალზე ფართო ასპარეზს ევროპაში, არამედ ღირსეულად წარმოადგენს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს როგორც მისი რექტორი. გერმანიაში გამოცემულ ამ ნაშრომს განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში. ეს საგანგებოდ აღინიშნა 2010 წლის 10 მარტს გერმანიის კულტურის ცენტრში გამართულ პრეზენტაციაზე, სადაც ფართო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე მოეწყო წარმოდგენილი მონოგრაფიის დაწვრილებითი განხილვა.

პროფესორ ჯონი აფაქიძის დიდ მეცნიერულ ავტორიტეტზე მეტყველებს მისი რედაქტორობით და ცნობილი ევროპელი მეცნიერების, ბ. გოველარიცასა და ბ. ჰენზელის თანარედაქტორობით გერმანიაში გამოცემული კიდევ ერთი წიგნი **„Der Schwarzmeerraum vom Äneolithikum bis in die Früheisenzeit (5000-500 v. Chr.). Kommunikationsebenen zwischen Kaukasus und Karpaten“** / „შავი ზღვის აუზი ენეოლითიდან ადრერკინის ხანამდე (ძვ. წ. 5000-500 წწ.). კომუნიკაციები კავკასიასა და კარპატებს შორის“. ეს წიგნიც უკვე ნახსენებ არქეოლოგიურ სერიაში **Prähistorische Archäologie in Südosteuropa/**(პრეისტორიული არქეოლოგია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში) გამოიცა. მასში წარმოდგენილია ჯონი აფაქიძის ნაშრომი „დასახლების კულტურა და ნაგებობათა ფორმები გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კოლხურ კულტურაში“.

ეს ნაშრომი წარმოადგენს პროფ. ჯონი აფაქიძის მიერ 2007 წელს თბილისში ორგანიზებული არქეოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმის შედეგებს. მასში შესულია გამოკვლევები შავი ზღვის აუზის ქვეყნების ენეოლით-ბრინჯაოს, ადრერკინისა და ანტიკური ხანის არქეოლოგიის პრობლემების შესახებ, მათ შორისაა ჯონი აფაქიძის გამოკვლევაც ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხეთის დასახლებათა ტიპებისა და ნამოსახლარების შესახებ.

პროფესორ ჯონი აფაქიძის ნაშრომების გერმანიაში გამოცემას უდიდესი წვლილი შეაქვს ქართველ მეცნიერთა მუშაობის შედეგების ესოდენ მასშტაბურად წარმოჩენაში. დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი არაკეთილისმსურველი ეჭვქვეშ აყენებს ქართული კულტურის მნიშვნელობას ისტორიაში, კოლხეთის უძველესი კულტურის მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში საფუძვლიანი განხილვის ამ ნაშრომებში წარმოდგენილი წარმატებული ცდა ევროპული მეცნიერების დონეზე განსაკუთრებით ღირებულია.

**რისმაგ გორდეზიანი,**



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი**

## ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

# სავალდებულო წილი და საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)

არსებობს კიდევ ერთი შეზღუდვა: თუ მოანდერძემ ლეგატარს მიანიჭა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება, ეს არ აძლევს მას საშუალებას თავის ოჯახის წევრებთან ერთად იცხოვროს აღნიშნულ ბინაში, მან პირადად უნდა ისარგებლოს იმ სადგომით, რომელიც მას სამისდღემშიო სარგებლობაში გადაეცა. ამ უფლების სხვისთვის გადაცემა არ დაიშვება. ეს უფლება არც მემკვიდრეობით არ გადადის. ლეგატართან ერთად მისმა ოჯახის წევრებმა შეიძლება იცხოვრონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანდერძში იქნება ამის შესახებ მითითებული.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც საანდერძო დანაკისრის საგანი შეიძლება იყოს დანაკისრის მიმღებისათვის (ლეგატარისათვისძ სამკვიდროში ან სხვა სანივთო უფლებით, მისთვის ისეთი ქონების შეძენა და გადაცემა, რომელიც არ შედის სამკვიდროში, განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და ა.შ. მაგალითად, მემკვიდრეს შეიძლება დაევალოს ლეგატარისათვის, როგორც სამკვიდროში შემავალი ავტომობილის გადაცემა საკუთრებად, ისე მისთვის ავტომობილის შეძენა.

საანდერძო დანაკისრი არ შეიძლება ზღუდავდეს მემკვიდრის მიერ მიღებული ქონების გამოყენებას. ამიტომ არ დაიშვება ანდერძში საანდერძო დანაკისრის სახით ისეთი პირობების გათვალისწინება, რომლითაც, მაგალითად, მემკვიდრე ვალდებულია გაყიდოს მემკვიდრეობით მიღებული სახლი და გადასცეს შვილიშვილებს განსაზღვრული თანხა.

რამდენადაც საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარიძ წარმოადგენს არა მამკვიდრებლის, არამედ განსაზღვრული მემკვიდრის კრედიტორს, მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს იმ მემკვიდრის წილის ანგარიშზე, რომელსაც დაეკისრა საანდერძო დანაკისრის შესრულება. ლეგატარს არ შეუძლია საანდერძო დანაკისრის შესრულება მოითხოვოს იმ წილიდან, რომელიც სხვა მემკვიდრეებმა მიიღეს. მემკვიდრე საანდერძო დანაკისრს შეასრულებს მხოლოდ სამკვიდროდან მისი წილის ფარგლებში. თუ სამკვიდრო დანაკისრის შესასრულებლად საკმარისი არ არის, შესრულება მოხდება იმ ფარგლებში, რისთვისაც საკმარისი იქნება მოცემული მემკვიდრის წილი სამკვიდროდან. დანაკისრის შესრულებისას მემკვიდრის, რომელსაც დანაკისრის შესრულება დაეკისრა, წილს გამოაკლდება მამკვიდრებლის ვალები, რომელიც მან გაისტუმრა. მაგალითად, თუ მემკვიდრის წილი სამკვიდროდან შეადგენდა ათი ათასი ლარის ღირებულების ქონებას, რომლიდანაც ხუთი ათასით მამკვიდრებლის ვალები გაისტუმრა, მაშინ საანდერძო დანაკისრი უნდა შესრულდეს ხუთი ათასი ლარის ფარგლებში.

როგორც წესი, საანდერძო დანაკისრი იმ მემკვიდრემ უნდა შეასრულოს, რომელსაც მისი შესრულება დაევალა მამკვიდრებლის მიერ, მაგრამ არსებობს ისეთი გამონაკლისი შემთხვევები, როცა შესაძლებელია დანაკისრის შესრულების ვალდებულების გადასვლა სხვა მემკვიდრეებზე. სხვა მემკვიდრეებმა საანდერძო დანაკისრი მხოლოდ იმ ქონებიდან უნდა შეასრულონ, რაც მათ მიიღეს იმის გამო, რომ მემკვიდრე, რომელსაც ანდერძით დანაკისრის შესრულება დაევალა, სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალა, ან მან უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ანდერძით საკითხი სხვანაირად გადაწყდეს. მაგალითად ანდერძი შეიძლება პირდაპირ ითვალისწინებდეს, რომ იმ მემკვიდრის სამკვიდროს გახსნამდე გარდაცვალების ან სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სხვა მემკვიდრეებს დანაკისრის შესრულება არ ეკისრებათ. საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულება სხვა მემკვიდრეებზე ვერ გადავა მაშინაც, როცა დანაკისრის შესრულება შეუძლებელია იმ მემკვიდრის მონაწილეობის გარეშე, რომელსაც ანდერძის შესრულება დაევალა.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მემკვიდრე, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება ევალება, გარდაიცვლება. ასეთ დროს საანდერძო დანაკისრის ვალდებულება შეწყდება და შესრულება შეუძლებელია მისი მონაწილეობის გარეშე. ეს არის შემთხვევა, როდესაც დანაკისრით რაიმე ისეთი მოქმედების შესრულებაა გათვალისწინებული, რომლის შესრულებაც სხვა მემკვიდრეებს არ შეუძლიათ. ეს ისეთივე შემთხვევაა, როცა ვალდებულების შესრულება შეუძლებელია მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 54

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, რომ მოანდერძემ მთელი თავისი ქონება რამდენიმე მემკვიდრეს დაუტოვოს, თუმცა ანდერძით არ იყოს განსაზღვრული თითოეულის წილი. ასეთ შემთხვევაში, თუ არსებობს საანდერძო დანაკისრი, იგი ყველამ თანაბრად უნდა შეასრულოს, ხოლო თუ მოანდერძემ ყველა დეტალი გაითვალისწინა ანდერძში, რამდენიმე ანდერძით მემკვიდრეს დააკისრა საანდერძო დანაკისრის შესრულება და ანდერძით ამ მემკვიდრეთა წილი განსაზღვრულია, მემკვიდრეები თანაბრად კი არ შეასრულებენ დანაკისრს, არამედ თავიანთი წილის შესაბამისად.

საანდერძო დანაკისრის შესრულების მოთხოვნისთვის სპეციალური ვადა – სამი წელია დადგენილი. ეს ვადა გამოითვლება არა იმ დღიდან, როცა ლეგატარმა გაიგო ან უნდა გაეგო საანდერძო დანაკისრის არსებობის შესახებ, არამედ სამკვიდროს გახსნის დღიდან.

***საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს საანდერძო დანაკისრის შესრულება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან.***

***რაც შეეხება საანდერძო დანაკისრის მიმღების პასუხისმგებლობას, იგი პასუხს არ აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის. მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხს აგებენ მემკვიდრეები. საანდერძო დანაკისრის მიმღები კი მემკვიდრე არ არის და არც პასუხს აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის.***

მაშასადამე, საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს საანდერძო დანაკისრის შესრულება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან.

რაც შეეხება საანდერძო დანაკისრის მიმღების პასუხისმგებლობას, იგი პასუხს არ აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის. მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხს აგებენ მემკვიდრეები. საანდერძო დანაკისრის მიმღები კი მემკვიდრე არ არის და არც პასუხს აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის.

სამოქალაქო კოდექსით დარეგულირებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც ანდერძით მემკვიდრეს, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება ევალება, სავალდებულო წილის მიღების უფლებაც აქვს.

თუ მემკვიდრეს, რომელიც ანდერძით მემკვიდრეცაა და ამავე დროს სავალდებულო მემკვიდრეს წარმოადგენს, საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, პირველ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, თუ რა მოცულობით მიიღებდა იგი სავალდებულო წილს ანდერძით მემკვიდრე რომ არ ყოფილიყო. თუ გაირკვა, რომ ანდერძით გათვალისწინებული ქონება სავალდებულო წილს არ აღემატება ან მასზე ნაკლებია, მაშინ მემკვიდრე, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, ამ მოვალეობისგან თავისუფლდება. თუ ანდერძით გათვალისწინებული ქონება სავალდებულო წილზე მეტია, მაშინ მემკვიდრემ დანაკისრი უნდა შეასრულოს, მაგრამ მხოლოდ იმ წილის ფარგლებში, რაც სავალდებულო წილს აღემატება. მაგალითად, თუ სავალდებულო წილი შეადგენს ათასი ლარის ღირებულების ქონებას, ხოლო ანდერძით გათვალისწინებულია ათას ხუთასი ლარი, მაშინ მემკვიდრემ საანდერძო დანაკისრი უნდა შეასრულოს ხუთასი ლარის ფარგლებში.

საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს უარი თქვას დანაკისრის მიღებაზე, ისევე როგორც მემკვიდრეს აქვს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის უფლება. მაგრამ აქაც არის განსხვავება, ლეგატარს შეუძლია, დანაკისრზე უარის თქმა სხვის სასარგებლოდ, მემკვიდრეს არ შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ ლეგატარი უარს იტყვის სამკვიდროზე ან შესაბამის ნაწილზე, იგი დარჩება იმ მემკვიდრეს, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა დანაკისრის შესრულება, ხოლო თუ დანაკისრის შესრულება რამდენიმე მემკვიდრეს ევალებოდა, მაშინ მათზე განაწილდება.

თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები უარს იტყვის დანაკისრის მიღებაზე, მემკვიდრე, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, თავისუფლდება მისი შესრულების მოვალეობისგან.

შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც საანდერძო დანაკისრის მიმღები სამკვიდროს გახსნის შემდეგ გარდაიცვალა, მაგრამ ვერ მოასწრო თანხმობის გამოთქმა დანაკისრის მიღებაზე. ლეგატარის გარდაცვალება ყოველთვის არ ათავისუფლებს მემკვიდრეს დანაკისრის შესრულებისგან. ის ამ მოვალეობისაგან გათავისუფლდება, თუ ლეგატარი სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება. თუ ის სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი იყო, მაგრამ დანაკისრის მიღებაზე თანხმობის გამოთქმამდე გარდაიცვლება, მაშინ მემკვიდრე ვალდებულია შეუსრულოს დანაკისრი ლეგატარის მემკვიდრეებს.

კანონი უფლებას აძლევს მოანდერძეს, დაავალოს მემკვიდრეს (მემკვიდრეებსძ რაიმე მოქმედების შესრულება საერთო-სასარგებლო მიზნით.

მაგალითად, მოანდერძეს შეუძლია უანდერძოს მემკვიდრეს (მემკვიდრეებსძ დიდი ღირებულების ფერწერული ნაწარმოებები და ამავე დროს დაავალოს მას (მათძ მისცენ სურათებით სარგებლობის უფლება პერიოდული გამოფენების მომწყობთ. რაიმე მოქმედება საერთო-სასარგებლო მიზნით, საანდერძო დანაკისრისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის ქონებრივი ხასიათისაა, შეიძლება იყოს ქონებრივი და არაქონებრივი.

საანდერძო დანაკისრი კონკრეტული პირის (პირებისძ სასარგებლოდ, მოითხოვს რაიმე მოქმედების შესრულებას, საერთო-სასარგებლო მიზნით, რაიმე მოქმედება კი უნდა შესრულდეს პირთა განუსაზღვრელი წრისათვის. მაგალითად, თუ პირმა მეუღლეს უანდერძა სამედიცინო ბიბლიოთეკა და დაავალა მისი გაცნობა ყველა მსურველისათვის, ეს იქნება დაკისრება საერთო-სასარგებლო მიზნით, რადგან პირთა განუსაზღვრელ წრეს ეხება.

რაიმე მოქმედების დაკისრება საერთო-სასარგებლო მიზნით, უმეტეს შემთხვევაში, არაქონებრივი ხასიათის მოქმედებაში გამოიხატება. თუ დაკისრებული მოქმედება ქონებას ეხება, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს საანდერძო დანაკისრის მარეგულირებელი ნორმები.

საერთო-სასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების შესრულების ვალდებულება გადადის მემკვიდრეობით. თუ მემკვიდრე, რომელსაც ანდერძით ევალებოდა რაიმე მოქმედება საერთო-სასარგებლო მიზნით, გარდაიცვალა, ვალდებულების შესრულება გადადის სხვა მემკვიდრეებზე, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს.

რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში დაკისრება ხდება საერთო-სასარგებლო მიზნით, მითითებული ნორმა ითვალისწინებს პირთა ფართო წრეს, რომლებსაც სასამართლოს მეშვეობით შეუძლიათ მოითხოვონ მემკვიდრისაგან დაკისრებული მოქმედების შესრულება.

აი, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს სავალდებულო წილის მიღების უფლებასა და საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულებას.

თუ სტატიის წაკითხვის შემდეგ, დაინტერესებულ მკითხველს კვლავ დაებადება კონკრეტული შეკითხვები, გთხოვთ მოგვწეროთ რედაქციის ელექტრონულ მისამართზე ან პირადად შეგვეხმიანოთ და გპირდებით, თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხზე აუცილებლად გაგიწევთ კანონიდან გამომდინარე, ამომწურავ იურიდიულ კონსულტაციას.

**ირინე ღლონტი**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ევროპული ღირებულებანი ვერ აღმოაჩინა

**საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობებში დიდი სკანდალი მწიფდება. საფრანგეთის ელჩი თბილისში ერიკ ფურნიე მკაცრი კრიტიკით დაესხა თავს საქართველოს ხელისუფლებას, ბრალი დასდო მას ნეობოლშევიზმში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, დიპლომატიური ინსტიტუტების შექმნის შეზღუდვაში. საქართველოში დასავლელი დიპლომატის ასეთი გამოსვლა არ ყოფილა დამოუკიდებლობის მთელი 20 წლის განმავლობაში.**

საფრანგეთის ელჩის სენსაციური განცხადება გაკეთდა თბილისში არაკომერციული ორგანიზაციის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მოხსენების პრეზენტაციის დროს საქართველოს მიერ თავის ვალდებულებათა შესრულების შესახებ ევროკავშირის პროგრამის „აღმოსავლური პარტნიორობა“ ფარგლებში. თბილისს აქვს ევროკავშირის ასოცირებული წევრობის პრეტენზია და იმედი აქვს, რომ უახლოეს პერიოდში ხელს მოაწერს ბრიუსელთან ხელშეკრულებას თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ. საქართველოს ხელისუფლებას იმედი აქვს უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებაც, მაგრამ ევროკავშირმა ამ ცოტა ხნის წინათ მხოლოდ გააიოლა საქართველოს მოქალაქეების ზოგიერთი კატეგორიების ვიზების გაცემა, მათთვის, ვინც ისედაც არ ჩიოდნენ შენგენური ვიზის მიღების სირთულეების გამო.

არაკომერციული ორგანიზაციის მოხსენება, რომელსაც აფინანსებს სოროსის ფონდი, ზომიერად კრიტიკული იყო: მასში აღნიშნული იყო საქართველოში არსებული პრობლემები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, პროფკავშირების სისუსტე, საერთო ეროვნული ტელეკომპანიების მფლობელთა გადაჭარბებული სიახლოვე ხელისუფლებასთან. მაგრამ ამაში არაფერი ყოფილა არაჩვეულებრივი: ამგვარი კრიტიკა არაერთგზის გამოთქმულა გასულ წლებშიც, თანაც სიტუაცია საქართველოში დიდად არ განსხვავდება მდგომარეობისგან სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. მოხსენების პრეზენტაცია უნდა მომხდარიყო რუტინულად. მაგრამ საფრანგეთის ელჩმა თბილისში ერიკ ფურნიემ, როდესაც მოხსენება მოისმინა, ყველასათვის მოულოდნელად (ჟურნალისტებისა და დოკუმენტის ავტორებისთვისაც) გამოთქვა მრისხანე ტირადა საქართველოს ხელისუფლების მისამართით.

„ევროკავშირის ყველა ძალისხმევა საქართველოში გამოიყურება უნაყოფოდ, ვინაიდან არავითარი პროგრესი არ არის, – აღნიშნა ელჩმა. – რა დარჩა საქართველოში ევროპული ღირებულებებიდან? თითქმის არაფერი! მათ შორის არაფერი დარჩენილა სიტყვის თავისუფლებისგანაც. და არ არის არანაირი პროგრესი არც ეკონომიკაში. ეს უბრალოდ კატასტროფაა! მიმაჩნია, რომ საკითხი შეეხება ნეობოლშევიკურ სახელმწიფოს, სადაც არანაირი თავისუფლება არ არსებობს“.



შემდეგ ელჩი გადავიდა მუქარაზე, მიუთითა საქართველოს მიმართ ევროკავშირის შესაძლო სანქციებზე. „როდესაც ვგებულობ, რომ 5 დოლარის ღირებულების ავტოკალმის მოპარვისთვის აპატიმრებენ პატარა ბიჭს, მეშინია, – აღშფოთებით ამბობდა იგი. – ჩვენ, ევროპელებმა აუცილებლად უნდა შევცვალოთ საქართველოსთან დაკავშირებით „აღმოსავლური პარტნიორობის“ ჩვენი პოლიტიკა. ეს დიდი გაწბილება იქნება საქართველოსთვის. ევროკავშირი შეიძლება აღმოჩნდეს სიტუაციაში, როდესაც იძულებული გახდება უგულებელყოს საქართველოსთვის დეკლარირებული საგარეო- პოლიტიკური ორიენტირები“.

არაკომერციული ორგანიზაციის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ქეთი ხუციშვილმა შემდეგ ჟურნალისტებთან აღიარა: „მე ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი“. მართლაც დასავლელი დიპლომატის ასეთი გამოსვლა საქართველოში არ მოუსმენიათ დამოუკიდებლობის მთელი ოცი წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ თავისი სენსაციური განცხადება ერიკ ფურნიემ გააკეთა რამდენიმე დღის შემდეგ, რაც ქართული ოპოზიციის რადიკალურმა ნაწილმა გააკეთა მაისისთვის გათვალისწინებული „ახალი რევოლუცია მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დამხობისთვის“ – ანონსირება. საერთო სახალხო წარმომადგენლობითი კრების არაფორმალურმა ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ამ დროს განაცხადა, რომ „მოვლენებმა ეგვიპტესა და ლიბიაში დაადასტურეს ხალხის უფლება აჯანყებასა და დიქტატორული რეჟიმის დამხობაზე“. მისი სიტყვებით, „დასავლეთის რეაქცია ადასტურებს, რომ დემოკრატიული სამყარო არ დატოვებს ქართველ ხალხს უბედურებაში, ხოლო თუ სააკაშვილი აღმართავს ხელს ხალხზე, მთელი პასუხისმგებლობა სისხლისღვრაზე დაეკისრება მას“. ასე რომ, ფურნიეს გამოსვლა ოპოზიციამ შეიძლება აღიქვას, როგორც „სიკეთე“ დასავლეთის მხრიდან ყველაზე აქტიური საპროტესტო მოქმედებების განსახორციელებლად.

თუმცა საფრანგეთის საელჩო თბილისში უკვე შეეცადა რამდენადმე შეემსუბუქებინა შთაბეჭდილება ელჩის დემარშისგან. საელჩომ უსაყვედურა ჟურნალისტებს, რომ მათ ელჩის კონტექსტის ფრაზიდან სხვა დასკვნა გააკეთეს. აიო, აცხადებენ საელჩოს წარმომადგენლები, იმავე გამოსვლაში ელჩმა საქართველოს უწოდა აგრეთვე „ერთადერთი დემოკრატია რეგიონში“. მაგრამ არაკომერციული ორგანიზაცია „ღია საზოგადოება – საქართველოს“ წყაროები, რომლებიც ესწრებოდნენ მოხსენების პრეზენტაციას, გვარწმუნებენ, რომ „ერთადერთი დემოკრატიის“ შესახებ ელჩს არაფერი უთქვამს. ეს სიტყვები არ არის არც ჩანაწერში, რომელიც გააკეთა „რადიო თავისუფლების“ საქართველოს სამსახურმა.

შესაძლებელია, პარიზში გაითვალისწინეს, რომ დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა თავის გამოსვლაში ერთგვარად გადალუნა ჯოხი. მაგრამ რამდენიმე ხნით ადრე მსგავსი, თუმცა არც ასეთი მკაცრი ბრალდებებით საქართველოს ხელისუფლების მისამართით, გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი თბილისში ჯონ ბასი, რომელმაც გააკრიტიკა ქვეყნის ხელისუფლება დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამჭვირვალობის პრობლემებთან დაკავშირებით. ეს შეიძლება მოწმობდეს იმის შესახებ, რომ დასავლეთი არცთუ ისე კმაყოფილია დემოკრატიის მოდელით, რომელიც შეიქმნა ქვეყანაში მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, და მზად არის დახმარება გაუწიოს სხვა პოლიტიკოსს, რომელიც რეალურად განაცხადებს თავის პრეტენზიებს პრეზიდენტის პოსტზე.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**საჰაერო ბრძოლა ლიბიაში: კადაფის ავიაცია განადგურებულია. კოალიცია ედავება ტრიპოლისა და პუტინს მსხვერპლის შესახებ**

კოალიციის თვითმფრინავები ოთხშაბათ-ხუთშაბათის ღამით კვლავ აყენებდა სარაკეტო დარტყმებს კადაფის არმიის პოზიციებს. ლიბიის ხელისუფლების ბრალდების მიუხედავად, რომ საავიაციო დაბომბვის შედეგად იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა, კოალიციური სარდლობა ამტკიცებს, რომ ჯერჯერობით ასეთი მონაცემები არ არსებობს.

**ობამამ უარი განაცხადა დააბრუნოს ნობელის მშვიდობის პრემია – ლაურეატი არ შეაშფოთა საჰაერო ომმა ლიბიასთან**



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკელები „არავითარ წინააღმდეგობას არ ხედავენ“ მის მიერ ამ ჯილდოს მიღებასა და ლიბიაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროების გაგზავნას შორის. უფრო ადრე მოწოდებით – დააბრუნოს პრემია, მას მიმართა ზოგიერთმა დასავლელმა პოლიტიკოსმა, მათ შორის ჟირინოვსკიმ და ბოლივიის პრეზიდენტმა.

**ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა-1“-ის პირველ რეაქტორზე ავარდა ტემპერატურა: შესაძლებელია მელტდაუნი, შედეგები განუჭვრეტელი იქნება**



თუმცა იაპონიის მთავრობაში ირწმუნებიან, რომ რეაქტორის ზონაში სიტუაციის გართულების საფრთხე არ არსებობს, სპეციალისტები არ გამორიცხავენ იმის ალბათობას, რომ მის შიგნით მოხდა ბირთვული საწვავის სრული დნობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს განუჭვრეტელი შედეგები. ოთხშაბათს რეაქტორის თავზე გამოჩნდა თეთრი ღრუბელი.

**იაპონიაში 25 ათასზე მეტი კაცი ითვლება დაღუპულად და უგზოუკვლოდ დაკარგულად**

მსხვერპლთა რიცხვმა მიაღწია 9523 კაცს. კიდევ 16 ათასზე მეტი ითვლება უგზოუკვლოდ დაკარგულად. ქვეყნის მარტო ერთ-ერთ ყველაზე დაზარალებულ პრეფექტურა მიაგიში დაღუპულთა რიცხვმა შეიძლება 15 ათას კაცს გადააჭარბოს.



# ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს განათლების სფეროს მხრივ პრობლემები აქვთ

**პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს კავკასიელი ხალხის კულტურათა გზაჯვარედინს უწოდებს, ადგილს, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს იოლად შეუძლიათ თანაცხოვრება, თუმცა ქვეყანაში მცხოვრები აზერბაიჯანელების და სომხების ენობრივი ინტეგრაციის პროცესის მიხედვით, ხელისუფლებას ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუწევს მანამ, სანამ სააკაშვილის ეს მოსაზრება ცხოვრებაში განხორციელდება**

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის შედეგების თანახმად, 2002 წელს ქვეყნის 4.37 მილიონი მცხოვრებიდან, ეთნიკური აზერბაიჯანელები (284 148 ადამიანი) და სომხები (149 175 ადამიანი) მთლიანობაში მოსახლეობის თითქმის 12%-ია. ქართული ენის სწავლა სავალდებულოა საქართველოს იმ ორმოცივე საჯარო სკოლაში, სადაც საგნებს ეთნიკური უმცირესობების ენებზე ასწავლიან, თუმცა ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ერთგან აზერბაიჯანელები, მეორეგან კი – სომხები, ქართული ენის შეზღუდულ გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში ის შედეგი აქვს, რომ ასეთი მოსწავლეები სახელმწიფო ენას ყოველთვის კარგად ვერ ფლობენ.

ის, რომ სომხებით კომპაქტურად დასახლებული სამცხე-ჯავახეთის სომხურ სკოლებში ზოგჯერ სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობს, ქართულ ენას ვერ შეცვლის. საქართველოს კერძო სექტორში სამუშაო ადგილების უმრავლესობა ქართული ენის ცოდნას მოითხოვს (ბოლო დროს ინგლისურისაც), ყველა სახელმწიფო თანამდებობაზეც სავალდებულოა იგივე უნარები.

ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის შესწავლის სრულყოფისთვის ხელისუფლებამ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის პროგრამა შეიმუშავა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სხვადასხვა დახმარებას: როგორც სახელმძღვანელოების თარგმნას უმაღლესი სასწავლებლის მისაღები გამოცდებისთვის, ასევე ეთნიკურ უმცირესობათა მოსწავლეებისთვის სწავლების გაგრძელების გარანტიებს.

EurasiaNet.org-მა აღნიშნული პროგრამის არსზე კომენტარი განათლების სამინისტროს ჩინოვნიკებს სთხოვა, თუმცა მათგან უარი მიიღო. არა და განათლების ხარისხის ზრდის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაცია არც ქართულ და არც ინგლისურ ენებზე არ არსებობს.

თუმცა მკითხველების ნაწილს აღნიშნულ თემაზე საკუთარი მოსაზრება უკვე ჩამოუყალიბდა. თბილისის ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის პედაგოგიკის პროფესორის სიმონ ჯანაშია აზრით, საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ენაზე ნებისმიერი საგნის სწავლება არასრულყოფილია. სწავლების მეთოდიკისა და სასწავლო სახელმძღვანელოების სფეროში სიახლეები მთლიანობაში გვერდს უვლის მსგავს სკოლებს, – ამტკიცებს იგი.

მათემატიკაში, ისტორიასა და სხვა დისციპლინებში სახელმძღვანელოები ეთნიკური უმცირესობების ენაზეა თარგმნილი, მაგრამ თარგმანი ბოლომდე ვერ წყვეტს პრობლემებს, – ჩივის ეთნიკური სომხების და აზერბაიჯანლების ზოგიერთი წარმომადგენელი.

„მე არ ვიცი ეს სახელმძღვანელოები ვინ თარგმნა, მაგრამ თარგმანი უმეტესწილად არაადეკვატურია“, – ამბობს მათემატიკის მასწავლებელი ნაირა ევტისიანი ახალქალაქიდან, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ სომეხი ეროვნების წარმომადგენლები. – „ვფიქრობ, ისინი ჯერ თარგმნეს ინგლისურიდან ქართულად და შემდეგ ქართულიდან სომხურ ენაზე და თარგმნის ყველა ეტაპზე ადგილებში აზრია დაკარგული“.

გაუგებრობას მხოლოდ ენის პრობლემები არ ქმნის. ისტორიისა და გეოგრაფიის ზოგიერთი სახელმძღვანელოს შინაარსი, რომელიც ქართულიდან სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეა თარგმნილი, დიდწილად ეწინააღმდეგება იგივე ისტორიისა და გეოგრაფიის სომხური და აზერბაიჯანული სახელმძღვანელოების შინაარსს, რომლებსაც ბოლო დრომდე საქართველოს ტერიტორიას აწვდიდნენ ერევნის და ბაქოს სომხური და აზერბაიჯანული სკოლები.

აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხის წარმომადგენლები, რომლებსაც სურთ მათმა შვილებმა ქართული ენის ცოდნა გაიუმჯობესონ, ამ გზაზე შეიძლება ახალ პრობლემებს წააწყდნენ. საჯარო სკოლებში ძველებურად ადგილი აქვს ენის ცოდნის დონის მიხედვით სეგრეგაციას. ეთნიკური ქართველი მოსწავლეები და არაქართველი მოსწავლეები ხშირად ქართული ენის სხვადასხვა ხარისხით ცოდნის გამო სხვადასხვა კლასებში სწავლობენ. ასეთი პრაქტიკა აშკარად ეწინააღმდეგება განათლების სამინისტროს ქართული ენის სწავლების ხელშეწყობის პროგრამის სულისკვეთებას, რომელიც აქცენტს „მოქალაქეების ინტეგრაციაზე“ აკეთებს. სამინისტროს წარმომადგენლებმა EurasiaNet.org-ს კომენტარზე უარი უთხრეს.

„მე მინდა, რომ ჩემმა გოგონამ ქართველ ბავშვებთან ერთ კლასში ისწავლოს, რომ უკეთ ისწავლოს ქართული ენა, მაგრამ მასწავლებლები ამბობენ, რომ ის კლასელებს ვერ დაეწევა“ – ამბობს ალინა მამედოვა, რომელიც აზერბაიჯანელი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული მარნეულის რაიონის (აზერბაიჯანის საზღვართან ახლოსძ მაღაზიაში მუშაობს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პრობლემები რჩება, მაგრამ ხელისუფლებას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ენობრივი ბარიერის შემცირების საქმეში საკუთარ მიღწევებზე საუბარი ურჩევნია. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არაქართული ეროვნების წარმომადგენელთა ჩაბარების შესაძლებლობების გაფართოებისთვის, 2006 წელს მთავრობამ შემოიღო ზოგადსაგანმანათლებლო გამოცდები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და კვოტები ორივე ეროვნების წარმომადგენლებისთვის.

საქართველოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, მაგალითად, მარნეულის მაღაზიის გამყიდველის ალინა მამედოვასთვის მთავარია, ისარგებლოს მსგავსი დახმარებით ენის სფეროში, რაც მომავალში დიდი შესაძლებლობების გასაღებია. „ჩვენმა შვილებმა უნდა ისწავლონ ქართული, რუსული და აზერბაიჯანული ენები, ასევე ინგლისური“, – ფიქრობს ის. – „თუკი მათ ყველა ენა ეცოდინებათ, შემდეგ ისინი თავად გადაწყვეტენ სად იმუშაონ თბილისში, ბაქოსა თუ მოსკოვში“.

EURASIANET.ORG

## ადამიანი დროში

# ეკონომისტის დიდი გზა

**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, სრულმა პროფესორმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულების ხელმძღვანელმა, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა კარლო ღურწკაიამ დღემდე დიდი, მუხლჩაუხრელი მოღვაწეობის 70 წელი დაუღალავი შრომით, ქართველი ახალგაზრდობისათვის მამულიშვილური თავდადებით და უანგარო მსახურებით გამოიარა.**

1970 წლის თებერვლიდან ბატონი კარლო ღურწკაიას ცხოვრება და შემოქმედება უკავშირდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, სადაც 1988 წელს მას ირჩევენ ჯერ პროფესორის თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ, 1989წ. ივნისში პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგედ.

წლების განმავლობაში ბატონი კარლო ღურწკაია იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო ეკონომიკური განათლების მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარე, სადაც განიხილებოდა ეკონომიკური დისციპლინების განვითარების საკითხები და თანადროულობასთან შესაბამისობაში მათი მოყვანის პრობლემები.

კათედრა, რომელსაც ბატონი კარლო 1989წ. 1 ივნისს ჩაუდგა სათავეში, ერთ-ერთი უდიდესია ამიერკავკასიაში ამ პროფილის კათედრებს შორის (70-ზე მეტი შტატითა) და, ცხადია, ასეთი კოლექტივის მართვა დიდ შრომას და პასუხისმგებლობას მოითხოვდა მისგან როგორც ხელმძღვანელისაგან, მაგრამ იგი მეთოდურად მიჰყვებოდა თავისი სახელოვანი მასწავლებლების პროფ. რ.მელაძის, პროფ. ლ.ჩიქავას (რომლებიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ კათედრას) და სხვათა მიერ გავლილ გზას, რომლებისგანაც ბევრი რამ ისწავლა და შეითვისა. სწორედ ასეთი გამოცდილების შედეგად პროფ. კ. ღურწკაიამ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა საქართველოში გარდამავალი პერიოდის ადეკვატური დამხმარე სახელმძღვანელო ეკონომიკურ თეორიაში, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო.



გადიოდა წლები, გროვდებოდა გამოცდილება და კ.ღურწკაიამ 2001 წ. ეკონომიკური თეორიის ახალი დამხმარე სახელმძღვანელო გამოსცა, რომლითაც ეკონომიკური თეორიის კურსს გადიან ამ თეორიის საწყისი კურსის შესწავლით დაინტერესებული მკითხველები. 2007 წელს ამას მოჰყვა „ეკონომიკის პრინციპების“ სახელმძღვანელო, რომელიც გამიზნულია ეკონომიკის საფუძვლების შესწავლით დაინტერესებული ფართო აუდიტორიისათვის და ასევე საერთო მოწონებას იმსახურებს.

თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია და უიმისოდ დღეს არაფერი არ წყდება. ამან განაპირობა ტექნიკურ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ჩამოყალიბება, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტებს მოამზადებს ბიზნესის მომსახურე დარგებისათვის. სწორედ ამან შეაგულიანა ბატონი კარლო შეექმნა ლექციების კურსი ბიზნესის საფუძვლებში და გამოეცა იგი 2005წ. დამხმარე სახელმძღვანელოს სახით, რომელსაც დღეს უამრავი სტუდენტი (და არა მხოლოდ ისინი) იყენებს როგორც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ისე მის გარეთაც.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ეკონომიკური სპეციალობების მომრავლებამ მოითხოვა ეკონომიკური დისციპლინების გაღრმავებული სწავლება. გამომდინარე აქედან, ისე როგორც მრავალ სხვა, ანალოგიური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში, აქაც შეიქმნა მაკროეკონომიკის 10-კრედიტიანი სასწავლო დისციპლინა, რომლის ლექციების კურსი ბატონმა კარლომ დაინტერესებულ მკითხველს 2007 წელს შესთავაზა, 40 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. მკითხველები მალე მიიღებენ ბატონ კარლოს მიერ შექმნილ ლექციების კურსს „საერთაშორისო ბიზნესში“.

განსაკუთრებით დიდია პროფ. კ.ღურწკაიას ღვაწლი ქართული ეკონომიკური აზრის წინაშე, რამეთუ საბაზრო პრობლემატიკას მიძღვნილი დასავლური ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურა, მან თავისი თარგმანებით გააცნო ქართველ მკითხველს. გვახსოვს პერიოდი, როდესაც ეს ლიტერატურა რუსულ ენაზეც კი იშვიათობა იყო პროფ კ.ღურწკაიას თარგმანითა და ძალისხმევით ქართულ ენაზე გამოიცა მსოფლიოში აღიარებული სახელმძღვანელო „ეკონომიკსი“ კ.მაკონელისა და ს.ბრიუს რედაქტორობით.

ხოლო 1995-1997 წლებში მომზადდა და 1997 და 1998 წლებში ბატონ კარლო ღურწკაიას ძალისხმევით ქართულ ენაზე გამოიცა ს.ფიშერის, რ.დორნბუშის და რ.შმალენზის „ეკონომიკა“ ოთხ წიგნად. ამ თარგმანმა, როგორც იტყვიან, „სულზე მოგვისწრო“. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბაზრო ეკონომიკის ტერმინოლოგიის დამკვიდრებას ქართულ სამეცნიერო სივრცეში. 1999-2000 წლებში მომზადდა და 2000 წელს ქართულ ენაზე გამოიცა პ.სამუელსონის და ვ. ნორდჰაუსის „ეკონომიკა“ ოთხ წიგნად.

დასავლეთის ამ აღიარებული ეკონომისტების ნაშრომების ქართულ ენაზე გამოცემის სახით ბატონმა კარლო ღურწკაიამ უდიდესი საქმე გააკეთა ქართულ ეკონომიკურ სივრცეში საბაზრო ეკონომიკის ტერმინოლოგიის დასამკვიდრებლად და ამ საკითხებში ქართველი ახალგაზრდობის მომზადების საქმეში.

ფასდაუდებელია პროფ. კ.ღურწკაიას მუშაობა სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩაბმის საქმეში. იგი ყოველწლიურად მრავალ სტუდენტს ამზადებს სტუდენტთა და მაგისტრთა სამეცნიერო კონფერენციებისათვის. მრავალი დოქტორანტი ჰყავს მომზადებული უკანასკნელი 2-3 ათეული წლის განმავლობაში, მათ შორის ერთი უცხოელი (ირანელი).

იგი დღესაც ჩვეული, ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს ყველა იმ სფეროში, რომელსაც საჭიროდ თვლის და დიდი ენთუზიაზმით ხვდება მე-8 ათწლეულის დაწყებას. ამასთან დასძენს, მე მარტო ვერაფერს ვერ გავაკეთებდი, რომ არა ჩემი ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელიც დედაც არის და მამაც ჩემთვის, სადაც მე მოვედი 29 წლის ახალგაზრდა და დღემდე ვმუშაობ აქ, თუ რამეს მივაღწიე ცხოვრებაში, ჩემი მეგობრების გვერდში დგომითო.

**ვუსურვებთ ბატონ კარლოს, ჩვეული ენთუზიაზმით კიდევ დიდხანს ელვაწოს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.**

**არჩილ ფრანგიშვილი** – სტუ-ს რექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **ევგენი ბარათაშვილი** – ემდ, სრული პროფესორი; სტუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის უფროსი; **ანზორ აბრალავა** – ემდ, სტუ-ს ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულების სრული პროფესორი; **რევაზ გოგოხია** – ემდ, ივ.ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სრული პროფესორი, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რედაქტორი; **იგორ კვესელავა** – სტუ-ს სრული პროფესორი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი; **პარმენ ლემონჯავა** – ემდ, სტუ-ს ეკონომიკის თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულების ასოცირებული პროფესორი; **სოსო სიგუა** – ფმდ, სტუ-ს სრული პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; **რევაზ მიშველაძე** – ფმდ, სრული პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

## გამოხმაურება

# ერთი „გამორჩენილი“ სახელის შესახებ

**თქვენს გაზეთში გულისყურით წავიკითხე სწორედ რომ საგულისყურო წერილი „საქართველო-გრუზია-ჯორჯია, ანუ კიდევ ერთხელ ჩვენი ქვეყნის სახელწოდების შესახებ“ („სრ“, 8 მარტი), სადაც გარჩეულია უცხოურ ენებში საქართველოს სახელწოდების საკითხი.**

გავიხსენოთ, რომ საქართველოს, ამ საკუთარი თვითსახელწოდების გარდა, სხვა ენებში აქვს ისტორიულად ჩამოყალიბებული რამდენიმე დასახელება, უმთავრესად შემდეგ ძირებზე „დაყვანადი“: ევროპული (ჯორჯია, ჟეორჟი, გეორგიენ), ისლამური (გურჯისტან, გორჟესტან) და სლავური (გრუზია).

სახელებია, სახელწოდებებია, დასახელებებია – იმათი ეტიმოლოგია ყოველთვის საინტერესოა. მე, მაგალითად, დღემდე არ ვიცი, ერთი ანეკდოტივით გადმოცემის გამორიცხვით, თუ როგორ გაჩნდა, საიდან მოდის რუსული ცნებები Грузия, грузин. ის ანეკდოტური ამბავი კი ასეთი რედაქციით მსმენია: თითქოს საუკუნეთა წინათ, როცა რუსეთის სამეფო თუ საიმპერატორო ტახტთან დადგა ამ ქვეყანასთან საქართველოს შეერთების საკითხი, მაშინდელ მეფესა თუ იმპერატორს ეთქვას – А зачем нам этот г р у з? ჰოდა, გავხდით კიდევაც Г р у з и я...

ანეკდოტი ანეკდოტად, მაგრამ ეგებ რომელიმე სპეციალისტმა თქვენი გაზეთის ფურცლებზე მოგვაწოდოს რუსულად ჩვენი „მონათვლის“ სარწმუნო ვერსია – თუ, რასაკვირველია, ასეთი რამ საერთოდ არსებობს...

ახლა კი იმ ერთი „გამორჩენილი“ ქართული დასახელების თაობაზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

კაი ხანია, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქართული სააქაო ს ა ა კ ა ო დ გაიხადა და „შესაბამისად“ საქართველო – ს ა ა კ ა რ თ ვ ე ლ ო დ. ეს „კაი ხანი“, რა თქმა უნდა, იმისი პირველპირობის, პირველკაცობის წლებია, როცა ამდენ რამეს, თუ ყველაფერს არა, ისე არ აკეთებს, შვრება, სჩადის, როგორც სჭირდება და მოუხდება საქმეს, ქვეყანას, ხალხს, სახელმწიფოს (თუ საერთოდ ვართ სახელმწიფო!); აკეთებს, შვრება, სჩადის მხოლოდ საკუთარი ხუშტურების, ბზიკების, მოპრიანებების მიხედვითა თუ შესაბამისად – ანგრევს, აფეთქებს, აშენებს, გაჰყავს, მოჰყავს, არქმევს, ართმევს, მართავს, ჭრის, ნიშნავს, ხსნის, ყიდის, ყიდულობს, ჩამოჰყავს, აწყობს, ასაჩუქრებს, აჯილდოვებს, ხარჯავს, ფლანგავს, ყრის... ღმერთო, ვინ იცის კიდევ რამდენი რამ გამომრჩა...

ვერ გეტყვით, მართლა თქვა თუ არა ლუი მეთოთხმეტემ (იმან, ვისთანაც სულმნათ სულხან-საბას ალოდინეს და მეთხუთმეტე კაცად შევიდა) – სახელმწიფო, ეს მე ვარო; აი სააკაშვილს კი უკვე სრული საფუძვლიანობით შეუძლია განცხადება: საქართველო (მართალია, შემორჩენილი და არასრული) – ეს მე ვარო...

დიახ, შემორჩენილი და არასრული, შეკვეცილ-ჩამოჭრილი საქართველო კაი ხანია ს ა ა კ ა რ თ ვ ე ლ ო გახდა და ზემოთ მოყვანილ სახელწოდებათა ნუსხას ამგვარი ახალი თვითდასახელებით უნდა შეემატოს!

ამრიგად, თქვენს წინაშეა მისი აღმატებულება მიხეილ სააკაშვილი – ს ა ა კ ა რ თ ვ ე ლ ო ს პრეზიდენტი!..

**ბერდია ბედოიძე**

## ავტომანქანა – ფულის საჭრელი დაზგა?

# ყოფილი „გაიშნიკი“ „პატრულს“ ამხელს

**ინფორმაციების გაცემა შსს-ში აკრძალულია. ან მხოლოდ ისაა ნებადართული, რაც ხელისუფლებას ხელს აძლევს. იმალება ავტოავარიების საერთო რაოდენობა, მათში დაღუპული მოქალაქეების რაოდენობა, დაზიანებულთა რიცხვი. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „არა“ აცხადებს, არაოფიციალური მონაცემებით შარშან ავტოსაგზაო შემთხვევებს 800-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.**

გზების დაგებასა და პომპეზურ ღონისძიებებს გადაყოლილი ხელისუფლება კვლავ ახალი მილიონების ხარჯვის გზას გვთავაზობს.

„არას წარმომადგენლების განმარტებით, საქართველოს ხელისუფლება აპირებს ქვეყნის მასშტაბით ავტომანქანების სავალი გზების შუქამრეკლი სალებავებით დახაზვას და სენსორული შუქნიშნებით აღჭურვას. როგორც „არას“ ხელმძღვანელი ლევან ჩიტაძე აცხადებს, ევროპის რამდენიმე ქვეყანასთან უკვე მიმდინარეობს კონსულტაციები საჭირო ტექნიკისა და შუქამრეკლი სალებავების შეძენის მიზნით. არსებული გეგმით, მოიხაზება არა მხოლოდ დედაქალაქი და მსხვილი ქალაქები, არამედ მაგისტრალებიც. ამით მძღოლებს ღამის საათებში მოძრაობა გაუადვილდებათ.

ამას გარდა, აპირებენ შუქნიშნებზე სენსორული მოწყობილობების დაყენებას – აცხადებს არასამთავრობოს წარმომადგენელი. ეს მოძრაობას, განსაკუთრებით გზაჯვარედინებზე, ეფექტიანად დაარეგულირებს. მისი მუშაობის პრინციპი ასეთია – ჩვენთან გზაჯვარედინზე კონკრეტული მიმართულებით ერთ წუთზე მეტი არ ინთება. სენსორული მოწყობილობა კი შუქ-



ნიშნის ციკლს ტრანსპორტის ნაკადის მიხედვით შეადგენს. რომელი მიმართულებითაც უფრო დიდია მოძრაობის ნაკადი, იქ მწვანე შუქის ნათების ხანგრძლივობას გაზრდის და პირიქით. ეს პრინციპი პრაქტიკულად გამორიცხავს იმ ქრონიკულ საცობებს, რომლებიც დიდი ქალაქებისა და მაგისტრალების მუდმივ სენად იქცა.

გზების დახაზვა და ა. შ. მძღოლებს ნამდვილად გაუადვილებს მოძრაობას. მაგრამ, აღნიშნავენ, რომ ახალი ტექნიკისა და სალებავების შეძენა, შემდეგ დახაზვა, 450-500 მლნ დოლარი დაჯდება. ამასთანავე, ექსპერტები ეჭვს გამოთქვამენ, რომ მოელვარედ დახაზულმა გზებმა შეამცირონ ავტოავარიების რაოდენობა.

რაც შეეხება სენსორულ შუქნიშნებს, იმავე სპეციალისტების მტკიცებით, მათი შეძენა და დამონტაჟება მილიარდ დოლარზე ოდნავ მეტიც კი დაჯდება.

რაში სჭირდება საქართველოს, რომლის მოსახლეობის 70 პროცენტი პრაქტიკულად შიმშილობს, ამგვარი ფუფუნება? ექსპერტები თვლიან, რომ ყველაფერი ხელისუფლებას პიარისთვის და საკუთარი მოსახლეობისთვის წამოსაძახებლად სჭირდება – ახალი ხიდები აგიშენეთ, გზები დაგიგეთ, ახლა დაგიხაზეთ და ევროპული დონის შუქნიშნებიც დაგიდგითო. ამას ისე იტყვიან (ნაწილობრივ უკვე იძახიან კიდეც), თითქოს ყველაფერში თავის ფულს ხარჯავდნენ და არა მოსახლეობისგან შევსებული ბიუჯეტის თანხებს.

აღსანიშნავია, რომ „ვარდოსნები“ გეგმის შესრულებას გასული წლის ბოლოსათვის გეგმავდნენ, მაგრამ კარს მომდგარმა ინფლაციამ დააშუხრუჭებინათ. თუმცა სააკაშვილს არ სჩვევია დასახულის (მისთვის სასარგებლოს) დავიწყება.

კომუნისტების დროს მთელი დღე მუქთად მომუშავე „გაიშნიკზე“ ერთი ასეთი ანეკდოტი დადიოდა: დგას გამწარებული „პუსტა-პუსტა“ აჩერებს მანქანას, „კაპიტალურად“ ამოწმებს ტრანსპორტს და საბუთებს. „საუბედუროდ“, მანქანის პატრონს ყველაფერი წესრიგში აქვს. ბოლოს ეუბნება, „შალახოს“ კასეტა თუ გაქვსო. კიო, უპასუხებს გაკვირვებული კაცი. ჩართეო, ჩამოუვლის ერთი-ორს, მიუბრუნდება მძღოლს და ეუბნება, კაცი არა ხარ, შაბაში მაინც მომეციო.

იხ. 11 გვ.

ჩოგბურთი

# რევანში, ფულის, ქულების



**მაიამიში დაიწყო ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 4 500 000 დოლარიძ.** საკვალიფიკაციო ეტაპზე ანა ტატიშვილმა ავსტრიელი პატრისია მაირ-ახლაიტნერი დაამარცხა — 6:4, 6:3, შემდეგ ესპანელ ნურია ლაგოსტერა ვივესს სძლია 6:3, 4:6, 6:4 და ძირითად ბადეში გაალწია, სადაც მისი მეტოქე იყო ბელარუსი ოლგა გოვორცევა, რომელიც ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგში 87-ეა (ტატიშვილი — 125-ეძ. მეტოქეები შარშან აპრილში ფლორიდის ტურნირზე (220-ათასიანი პრიზითძ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ ბელარუსმა იმარჯვა — 6:2, 6:2.ამჯერად კი ქართველმა ჩოგბურთელმა რევანში აიღო — 6:3, 5:7, 6:3. ტატიშვილი მეორე წრეში გადავიდა, რითაც 50 სარეიტინგო ქულა და 11 500 დოლარი დაიბევა.

**ლაშა დიდია**

თხილამურები

# ექვსი ეტაპის შემდეგ



**სამთო თხილამურებში საქართველოს თასი სამ ასაკში თამაშდება. მოასპარეზეებმა სლალომში ექვს ეტაპზე მოსინჯეს ძალები. გაუწყებთ საერთო მაჩვენებლებით პირველ-მესამე ადგილებზე გასულთა ვინაობას:** 1995 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი. **გოგონები.** 1. სუსანა გავა (115 ქულაძ, 2. ნატალია გავა (95ძ, 3. თამუნა ჯალმაიძე (50ძ. **ვაჟები.** 1. დავით გავა (93ძ, 2. იგორ გავა (82ძ, 3. კოტე ვახტანგიშვილი (70ძ.

1996-1997 წლებში დაბადებულნი. **გოგონები.** 1. ანასტასია კვირიკაძე (125ძ, 2. ნატა მგელაძე (110ძ, 3. ნუცა ხურცილავა (65ძ. **ვაჟები.** 1. გალო ჯაფარიძე, 2-4 სოსლან ბაკაევი, ნოდარ ჩუბკო, შოთა ნათაძე (75-75 ქულაძ.

**1998- 1999 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ქეთევან ჩოგაძე (77ძ, 2. ანა ოგბაიძე (70ძ, 3. ანა გორდეზიანი (65ძ. **ვაჟები.** 1. გიორგი კურტანიძე (85ძ, 2. ვალიკო მარსაგიშვილი (85ძ, 3. დათო ხომერიკი (81ძ.

მშვილდოსნობა

# გუნდურში გამარჯვებული დღეს გამოვლინდება



**ესპანეთში გრძელდება მშვილდოსანთა ევროპის ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი ჩუბინი ქალებიც მონაწილეობენ.**

საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი გუნდის ლიდერმა ხათუნა ნარიმანიძემ 577 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა და პლეი-ოფის პირველ წრეში თავისუფალი იყო. 563 ქულით მე- 18 ადგილზე გავიდა ქრისტინე ესებუა, რომელმაც ძირითადი ტურნირის სტარტზე იტალიელ ელენა ტონეტას სძლია. სამწუხაროდ, მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა ასმათ დიასამიძე — იგი პოლონელ ნატალია ლესნიაკთან დამარცხდა.

რაც შეეხება გუნდურ პაექრობებს, საქართველოს ნაკრები 1701 ქულით პირველი დღის შემდეგ მეოთხე ადგილზეა. პირველ წრეში იგი პოლონეთის გუნდს შეხვდება. მედლების მფლობელები დღეს გამოვლინდებიან.

**გივი გაგუა**

ჭადრაკი

# არონიანი წინ მიიწევს



**მეცხრე ტური გაიმართა მონაკოში მიმდინარე საჭადრაკო „ამბერ-ტურნირზე“. თუ წინა ტურში „ბრმა“ ნაწილში ყველა პარტია ყაიმით დამთავრდა, ამ ტურში ვითარება შეიცვალა:** გაშიმოვმა გელფანდი დაამარცხა, კარლსენი კი ანანდის დანებდა, ნაკამურამ ტოპალოვს სძლია, არონიანმა — კრამნიკს, ყაიმზე შეთანხმდნენ გირი — გრიშჩუკი, ივანჩუკი — კარიაკინი.

წინა ტურში „დიდი სისხლისღვრა“ იყო სწრაფ პარტიებში, ამ მხრივ არც მეცხრეტურელები ჩამორჩნენ — გელფანდმა გაშიმოვი დაამარცხა, გრიშჩუკმა — გირი, ანანდი კარლსენს დანებდა, ნაკამურა — ტოპალოვს, „მშვიდობიანად“ დაზავდნენ კრამნიკი — არონიანი, კარიაკინი — ივანჩუკი.

9 ტურის შემდეგ ტურნირზე ასეთი მდგომარეობაა: არონიანი — 13 ქულა, კარსლენი — 12, ანანდი, გრიშჩუკი, ივანჩუკი — 9,5, გაშიმოვი — 9, ნაკამურა, ტოპალოვი — 8,5, გელფანდი, კარიაკინი — 8, გირი — 6,5, კრამნიკი — 6.

ჭიდაობა

# რიგიდან რიგიანი ნადავლით

**ლატვიის დედაქალაქში ახალგაზრდა ფალავანთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს წარმომადგენლებმა რიგაში 16 მედალი მოიპოვეს.** აქედან 10 ჯილდო „კლასიკურში“ ვლადიმერ ადეიშვილის შეგირდებმა დაიმსახურეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ქემალ ხარაბაძე (60 კგ.ძ, საჩინო დავითაია (66ძ, უშანგი ჩიტიაშვილი (74ძ და რევაზ ნადარეიშვილი (84ძ. ოქროს მედლამდე ერთი გამარჯვება დააკლდა სერგო გოგისვანიძეს (120ძ, რომელმაც მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო. ფირუზ წულუკიძე (60ძ, გიორგი დავითაია (66ძ, ზურაბ დათუნაშვილი (74ძ, რობერტ ქობლიაშვილი (84ძ და შოთა გოგისვანიძე ბრინჯაოს დასჯერდნენ. უხვი ნადავლის მიუხედავად, ქართველმა „კლასიკოსებმა“ გუნდური მხოლოდ მე-2 ადგილი დაიკავეს, რადგან სამ წონით კატეგორიაში წარმომადგენლები არ ჰყავდათ. სამაგიეროდ, გუნდურში თავისუფლებმა იყოჩაღეს — ნუგზარ სხირელის დამოძღვრილებმა პირველობა არავის დაუთმეს, პირად პირველობაში კი ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალს გამორჩნენ. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ლაშა ტალახაძე (60ძ და თედო ებანოიძე (96ძ, მეორე ადგილები ერგოთ ლაშა ლომთაძეს (55ძ, თენგიზ ჩოჩიშვილსა (60ძ და გიორგი ასლანიშვილს ( 120ძ, ხოლო დავით გალეგაშვილი (66ძ მესამე იყო.



**წლეულს ახალგაზრდა ფალავნები ორ დიდ შეჯიბრებაში იასპარეზებენ:** 21-26 ივნისს სერბეთში ევროპისა და 26-31 ივლისს რუმინეთში მსოფლიოს პირველობებზე.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# არის ასეთი ტურნირი

**რატომღაც ყველას ჰგონია, რომ საკალათბურთო შეხვედრის ფრედ დასრულება არ შეიძლება. არადა, მოგეხსენებათ, არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე.**

ევროპის თასის გათამაშება პოპულარობით, მართალია, ჩამოუვარდება ევროლიგას, მაგრამ სამაგიეროდ ის ტურნირია, სადაც პლეი-ოფის მატჩის დასრულების შემდეგ დამატებითი დრო არ ინიშნება.



დასტურად გერმანიაში გამართული პირველი მეოთხედფინალური ბრძოლა გამოდგება, რომელშიც „გეტინგენი“ და „ბენეტონი“ ერთმანეთს მშვიდობიანად დასცილდნენ — 66:66 და ამ წყვილში უძლიერესს საპასუხო რაუნდი გამოავლენს.

დიდი ნაბიჯი გადადგა საუკეთესოთა კვარტეტისკენ ყაზანის „უნიქსმა“, რომელმაც იტალიაში „კაზერტას“ სძლია — 90:84.

კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდებოდა მოვლენები ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში, სადაც სოლიდური სასტარტო ჩამორჩენის — 23:40 შემდეგ იქაურმა „ცედევიტამ“ „ესპანური ესტუდიანტესი“ დააჩოქა — 90:81.

„კახასოლი“ — „ბუდივილნიკი“ 67:49.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## სურათის საიდუმლო ახსნილია

**ამ სურათმა მხოლოდ დიდი ბრიტანეთი კი არა, მთელი მსოფლიო შემოიარა, თუმცა მხოლოდ ახლა გაირკვა, თუ ვინ იყო გადაღებული ამ 35 წლის წინანდელ სურათზე. როგორც ამბობენ, ეს პიკანტური ფოტო ამშვენებდა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის 2 მილიონი ოჯახის საწოლი ოთახის კედლებს, სხვა ქვეყნებში ასეთი სტატისტიკა არ უწარმოებიათ.**

ეს პოპულარული ფოტოსურათი ამას წინათ ერთხელ კიდევ გამოფინეს ბირმინგემის უნივერსიტეტის სამხატვრო გამოფენაზე და სწორედ ახლა გამოირკვა, რომ ის 1976 წელს გადაიღო მარტინ ელიოტმა. მასზე გამოსახულია ფიონა უოლკერი, რომელიც მაშინ 18 წლისა ყოფილა, ახლა კი 52 წლის ქალბატონი სამი შვილის დედაა.




როგორც ქალბატონი ფიონა აცხადებს, ის დაიყოლია ელიოტმა. თუმცა ჩოგბურთის დიდი გულშემატკივარი არ ყოფილა და სპორტული ფორმაც ამ ფოტოსიუჟეტისთვის მეგობრებში უთხოვია. „მაშინ ძალზე გულუბრყვილო ვიყავი, ფოტოსთვის, ბრიტანეთის კუნძულზე რომ იყიდებოდა და საზღვარგარეთაც, არც ერთი პენი არ მიმიღია. თუმცა მისი ყოველი ნახვა ღიმილს მგვრის, ვიხსენებ რა იმ ბედნიერ წლებს“.

სურათის ავტორი, 63 წლის ელიოტი შარშან გარდაიცვალა.

## ესპანეთი — უფეხბურთოდ?!



**ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ესპანეთი, შესაძლოა, უფეხბუროთოდ დარჩეს, ამ ქვეყნის პროფესიონალური ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა ხოსე ლუის ასტიასარანმა განაცხადა, რომ 3 აპრილისთვის დანიშნული ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტური არ შედგება, თუკი მთავრობა არ დააკმაყოფილებს კლუბების პროტესტს, გააუქმონ მოთხოვნა ტელეარხებზე უფასოდ აუცილებლად აჩვენონ პირველობის ყოველი ტურის ერთ-ერთი მატჩი.**

ფეხბურთის თავკაცის თქმით, ლონისძიება აუცილებელია, რათა მთავრობის ყურადღება მიიზიდონ ფეხბურთის კლუბების მიერ დაყენებულ საკითხებზე.

მან ისიც განაცხადა, რომ კლუბებში მიდის დისკუსია „ღირს თუ არა ასეთ პირობებში ქვეყნის მომდევნო ჩემპიონატის დაწყება“. ისიც გახდა ცნობილი, რომ უმაღლესი ლიგის 7 გუნდი — „ვილიარეალი“, „რეალ სოსიედადი“ (სან-სებასტიანიძ, „ატლეტიკო“ ბილბაოდან, „სარაგოსა“, „ესპანიოლი“, „სევილია“ და „მალაგა“ მხარს არ უჭერენ ტურნირის გადადებას და აპირებენ მომავალი მატჩების თამაშს.

## ლამაზმანი ჰემილტონს ავარჯიშებს

**ალბათ, იცით, რომ ამ დღეებში ავსტრალიაში სტარტი უნდა აიღოს მძაფრი პოლიტიკური სიტუაციების გამო ბაჰრეინიდან გადადებული ავტორბოლის „ფორმულა- 1“ მსოფლიო ჩემპიონატმა. ახლა იქ მსოფლიოს საუკეთესო პილოტები იკრიბებიან.**

როგორც ცნობილი გახდა, ახალი სეზონისა და „ავსტრალიის გრან-პრის“ გათამაშებისთვის „მაკლარენის“ პილოტმა ლუისი ჰემილტონმა ფიზმომზადებაში ვარჯიშები ჩაატარა რეიჩელ ფინჩის კამპანიაში. ის კი „ავსტრალიის მისის“ ტიტულის ახლანდელი მფლობელია.



2008 წლის მსოფლიო ჩემპიონი ვარჯიშობდა და დარბოდა მდინარე არის გასწვრივ. მას უამრავი ხალხი ადევნებდა თვალს.

„ადრე არასდროს მქონია ასეთი ვარჯიში, — განაცხადა ჰემილტონმა, — ჩვეულებრივად მარტო ვვარჯიშობ ხოლმე. ალბათ შეკრებილთ ჩვენი ვარჯიში ისევე მოსწონთ, როგორც მე“.

რიჩელი „ავსტრალიის მისი“ გახდა 2009 წლის 22 აპრილს და მსოფლიოს ლამაზმანის არჩევნებშიც მონაწილეობდა ბაჰამის კუნძულებზე. აღსანიშნავია, რომ კონკურსზე გამგზავრების წინ ფინჩს ქალაქ დარვინის პარკში თავს დაესხა ნიანგი.

◉ საჩუქრად ბავშვებს

# სამშობლოს მოსაფერებლად...

**„სიხარულს ძებნა არ უნდა“, – ასე ჰქვია ელგუჯა ლებანიძის საბავშვო ზღაპრებისა და ლექსების კრებულს, რომელიც „ქართულმა წიგნმა“ დასტამბა. აღსანიშნავია, რომ ერთ წიგნში ექვსი წიგნია გაერთიანებული: „თამუნას მოყოლილი ზღაპრები“, „ელგუჯა პაპას ზღაპრები“, „ჩვენი მეგობარი ბაჯო“, „თქვენთვის ნალაპარაკევი ზღაპრები და არაკები“ (ლექსებიძ, „რა არ ბინადრობს საქართველოში“ (ლექსებიძ, „წელიწადის ოთხი შვილისა და თორმეტი შვილიშვილის ამბავი“ (ლექსებიძ.**

ლამაზი ილუსტრაციებით გაფორმებული წიგნის მთავარი თემაა – სიხარულის ძებნა. თუმცა ავტორი იქვე გვეუბნება, რომ „სიხარულს ძებნა რად უნდა? აბა, მიიხედ-მოიხედეთ, რამდენია – მზე, ყვავილები, ჩიტები, მინდორველი, ტყე და მდინარე... სულ სიხარული არ არის?“

თითოეული სტრიქონი თუ ზღაპარი სიხარულის წუთებთან ზიარებაა. ელგუჯა ლებანიძის მადლიანი კალამი სიყვარულით, სიკეთით, სინთლით ალავსებს ბავშვების სულს.

**„დედამ ფანქრები მიყიდა,**
**ნაირ-ნაირი ფერები,**
**ახლა ყველაფერს დავხატავ,**
**სამშობლოს მოვეფერები!“**

ამ ფერებით ცოცხლდება ჩვენს თვალწინ მარტის სასწაული, ბავშვების ჟრიამულით სავსე ეზო, მზისა და მიწის მადლით გამთბარი შემოდგომა, რთველი, პაპის მორთმეული ყურძენი, წისქვილეთი, ხელმწიფე და ჩიკორა...

ავტორი ეფერება სამშობლოს და დანანებით ეკითხება მდინარის ტალღას: „ნეტავი შენ, მდინარის ტალღავ! წახვალ უცხო მხარეში და ჩემი ქვეყნის ტკივილს ველარასოდეს იხილავ“.

ტკივილთან ერთად ეს წიგნი იმედიანიცაა. ზღაპარი „ოქროს ბურთი, ჩიტი და მზეჭაბუკი“ მოგვითხრობს ოქროსკულულებიან ყრმაზე. მისი დაბადებისთანავე სახლში შეიჭრება ათასი ფერით აელვებული ბურთი, რომელსაც უცნაური ჩიტი შეჰყვება. ბურთმა ბიჭის აკვანთან ფარ-ხმალი დატოვა და ისევ მოულოდნელად გაქრა.

ეს ბიჭი ქვეყნის იმედი და მომავალია. „შენ უნდა იხსნა ხალხი და ქვეყანა გაუგონარი ტირანიისგან“, – ჩაიჭიკჭიკა ჩიტმა. მართლაც, იხსნის ბიჭი ქვეყანას.

წიგნი მრავალ საინტერესო ამბავს მოუთხრობს ბავშვებს, თუნდაც იმას, რა გაუხარდა მზეს? როგორ გაჩნდნენ კურდღლები, თუთიყუშ ბაჯოს თავგადასავალს, თაღლითი თაგვების – თუთარასა და თურთიას ამბავს, თუ როგორ გამოასწორა ისინი მაშო ბაბომ და შრომა ასწავლა.

„უნდა ვუმეგობროთ სამყაროს, მის მდიდარ ფლორასა და ფაუნას. ისინი გვავსებენ სიცოცხლით, მზითა და სიხარულით“, – გვეუბნება ავტორი.




კრებულს „სიხარულს ძებნა არ უნდა“ ელგუჯა ლებანიძე უძღვნის შვილიშვილებს – თამარს, თინათინს, მარიამს და ყველა მათ თანატოლს. წიგნის რედაქტორია ლამარა ესართია, მხატვრები: ალექსანდრე ციხელაშვილი, მაია კიკაჩეიშვილი, გელა ბერუაშვილი.

ამ წიგნით ბავშვებმა მშვენიერი საჩუქარი მიიღეს. მათ დიდხანს გაჰყვებათ სულიერ საგზლად სიყვარულით გამთბარი ლექსები და ზღაპრები, რომლებიც ელგუჯა ლებანიძემ მათ გასახარად შექმნა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ ინფორმაცია

## გამომძალველი პოლიციელიც ყოფილა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა თანხის გამოძალვის ბრალდებით პოლიციელი დააკავეს.**

**შსს-ის ინფორმაციით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თბილისის პირველი სამმართველოს ცვლის უფროსმა ნუკრი მეტივიშვილმა მის დაქვემდებარებაში მყოფ ვადიან მოსამსახურეს დაცვის პოლიციაში მუშაობის დაწყებისა და წოდების მინიჭებაში დახმარების სანაცვლოდ, 1 ათასი აშშ დოლარი გამოსძალა.**

**გამოძიებას შსს გენერალური ინსპექცია აწარმოებს.**

**მოქმედი კანონმდებლობა ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის თავისუფლების 6-დან 9 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ავტომანქანა – ფულის საჭრელი დაზგა?

(მეცხრე გვერდიდან)

თითქმის ანალოგიურ ფაქტებს, ოღონდ თანამედროვე ინტერპრეტაციითა და რეალურად მომხდარის შესახებ, ასახელებს სახელმწიფო ავტოინსპექციის მაღალჩინოსანი, დღეს არასამთავრობო ორგანიზაციის „მძღოლი, გზა, სამართალი“ თავმჯდომარე რობერტ იანტბელიძე.

მისი თქმით ორგანიზაციაში უამრავი მძღოლი მოდის საჩივრით, რომ პატრულმა ისინი ღამის

# ყოფილი „გაიშნიკი“ „პატრულს“ ამხელს



საათებში გააჩერა და სიმთვრალესიფხიზლეზე ტესტირება ჩაუტარა რაღაც ჩინური თუ თურქული ხელსაწყოთი. მძღოლს ეუბნებიან, რომ იგი ნასვამია და 200-ლარიანი საჯარიმო ოქმის შედგენას იწყებენ. მძღოლს უდანაშაულობის დასამტკიცებლად ბაგებში (თუ დიდ დილომში, ან ვარკეთილშია, ადვილი წარმოსადგენია რამდენი დროის და თანხის დაკარგვა მოუწევს, რადგან ტრანსპორტს არ ატანენძ ორ საათში უნდა მოასწროს მისვლა-მოსვლა. ნარკოლოგის ექსპერტიზის ბიურო ფხიზელს, შესაბამის ცნობას აძლევს. თუმცა ექსპერტიზა ფასიანია და 40-60 ლარი ჯდება. იქ არსებული ამერიკული ტექნიკა ცდომილებას გამორიცხავს. მიუხედავად ბრალეულობის არარსებობისა, მანქანა მაინც გადაყავთ საჯარიმო ავტოსადგომზე.

„პატრულის ზოგიერთი თანამშრომელი მძღოლთან იწყებს მოლაპარაკებას: გზა – ფული – ექსპერტიზა – ფული. ოქმი ყველა შემთხვევაში შედგება. მანამდე მანქანას საევაკუაციო საჯარიმო ავტოსადგომზე გადაიყვანს, რაც 60 ლარი ჯდება. ყოველდღიურად სადგომზე ექვსი ლარია გადასახდელი. სასამართლოში ჩივილის შემთხვევაში – დამატებითი ხარჯები. ამას დგომის 6 ლარიც ემატება.

თანხის დაანგარიშების შემდეგ, რაც 400-500 ლარს აღწევს, პატრული მძღოლს გარიგებას სთავაზობს, გადაიხადე 200-ლარიანი ჯარიმა სიმთვრალეზე და ყველაფერი მორჩება. მანქანის მფლობელიც თანხდება.

იანტბელიძის განმარტებით, იგი პატრულთან ერთად რამდენიმეჯერ მონაწილეობდა საჩივრების განხილვაში. 200-ლარიან ჯარიმასა და სხვა თანხებს ახდევინებდნენ მძღოლებს, რომელთაც ოფიციალური ცნობა ჰქონდათ სიფხიზლის თაობაზე. რადგანაც ოქმს ქალაქის საპატრულო პოლიციის შეფის გეგეჭკორის რეზოლუცია ჰქონდა დადებული ოქმის არგაუქმების შესახებ. რა უფლება აქვს გეგეჭკორს იგნორირება გაუკეთოს ნარკოლოგიური დასკვნას? – კითხულობს არასამთავრობოს თავმჯდომარე.

სპეციალისტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ნარკოლოგიურიდან ცნობის მოტანის ვადა ორი საათია. ჩვენში ისეთი აპარატურაა, რომელიც წინა დღის ნასვამობასაც ავლენს. ამის გამო ვადები 6-8 საათამდე მაინც უნდა გაიზარდოს, მიაჩნიათ მათ. ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ მძღოლს ყველა გამამართლებელი პირობის დამტკიცების შესაძლებლობა მოუსპონ – ასკვნიან ექსპერტები.

დღე-დღეზე ქვეყანაში ამუშავდება კანონი მძღოლებისათვის ფოსფორიანი, მანათობელი ჟილეტების ფლობის აუცილებლობის შესახებ. ეს ვითომც იმისთვისაა საჭირო, რომ პოლიციელმა ღამის საათებშიც მოახერხოს დანახვა, უკეთიათ თუ არა საჭესთან მჯდომსა და მის თანამგზავრს ჟილეტები. თითოეული ჟილეტი 80 ლარი ეღირება. ეტყობა ეს ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან ვიღაცის ბიზნესია, – გვიხსნიან სპეციალისტები. ევროპის არც ერთ ქვეყანაში მსგავსი სისულელე არ მოუგონებიათ. ჟილეტის მოვალეობაა ადამიანი დაიცვას უბედური შემთხვევის დროს და არა ის, რომ პოლიციელმა დააფიქსიროს მისი არსებობა – გაკვირვებას ვერ მალავენ პროფესიონალები.

ცოტა ხანში შემოიტანენ ევროპული დონის სადიაგნოსტიკო აპარატურას. აღდგება ტექდათვალიერება, მაგრამ ამ უვარგის გზებზე ნასიარულებსა და ასეთივე საწვავზე მომუშავე ჩვენს მანქანებს ფაქიზი აპარატურა რომ ხარვეზებს აღმოუჩენს, ცხადია. დაიწყება დაჯარიმებები. მარტო თბილისში 100 ათასამდე მანქანა მოძრაობს. ტექდათვალიერებებზე ამოღებული ფულის დიდი რაოდენობა რომ ბიუჯეტში არ შევა, დღესავით ნათელია. რომც შევიდეს, ის ხომ ნაციონალების ყულაბაა და მასში „ვარდებით“ მოსულთა „ვერხუშკა“ უპრობლემოდ აფათურებს ხელებს.

სააკაშვილის ბიჭებს ფული შემოაკლდათ და ავტოტრანსპორტს ფულის საჭრელ დაზგად გადაქცევას უპირებენ.

**ზაზა ბილიხოძე**



**მეუღლე ეთიკო ბოჭოიძე, შვილები ნინო, მაია ნემსაძეები, სიძეები დათო ხაზარაძე, კაკო სხირტლაძე, შვილიშვილები თენგო, ლუკა, ივანე სხირტლაძეები, გიორგი, ლიზი, ნატალია ხაზარაძეები, სიდედრი ნუნუ ბოჭოიძე, ცოლისძმა ლევან ბოჭოიძე ოჯახით, მძახლები გიორგი ხაზარაძე, ლერა ტატიშვილი, თენგო სხირტლაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ვანიკო ნემსაძე**

**პანაშვიდი 24, 25 III, 17 სთ. ბაზალეთის №3, გამოსვენება 26 III, 15 სთ. საბურთალოს სასაფლაოს მაცხოვრის ამაღლების ეკლესიიდან.**

---

**გიორგი ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი ნათესავის**

**ვანიკო ნემსაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**თამაზ იმედაძე ოჯახით თანაუგრძნობს უახლოეს მეგობრებს გიორგი და დათო ხაზარაძეებს მძახლისა და სიმამრის, დიდებული მამულიშვილის**

**ვანიკო ნემსაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი და საქართველოს უროლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი უროლოგი, ქართული უროლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**ილია კაპეტივაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**



---

**შვილები ვლადიმერ, ბაკურ, ოთარ როდონაიები, სიძე თამაზ ემხვარი, რძლები მარინე როდონაია, დალი შავიშვილი, მზია თოდუა, შვილიშვილები ბაჩო, გიორგი, ირაკლი, სალომე, ნინო, ლაშა როდონაიები, თარაშ და თემურ ემხვარები, შვილთაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მეორე მსოფლიო ომის მემატიანე, 23 ორდენისა და მედლის, მათ შორის ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი**

**ვარლამ ძუკუს ძე როდონაია**

**პანაშვიდი 27, 28, III, დაკრძალვა 29 III, დაბა ჩხოროწყუში.**

◉ კრიმინალი

## შელაპარაკება მსხვერპლით დასრულდა

**შემთხვევა თბილისში ოთხშაბათ ღამით მოხდა. არსებული ინფორმაციით, 65 წლის ტაქსის მძღოლს 37 წლის მგზავრმა მგზავრობის საფასური არ გადაუხადა და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა, რის შემდეგაც მამაკაცს გულის შეტევა დაემართა.**

**შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას ტაქსის მძღოლი უკვე გარდაცვლილი დახვდა.**

**მგზავრი სამართალდამცველებმა უკვე დააკავეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**99-62-77; 899 32-85-76.**

### სულიერება



# წმინდა მეფე დემეტრე თავდადებული

**25 მარტს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმიდა მეფე დემეტრე თავდადებულს.**

...კეთილმსახური მეფე თამარის შვილთაშვილი – დემეტრე მეფე სიყრმიდანვე განსაცდელებით იწვრთნებოდა...

სულიერი სათნოებით აღსავსე მეფე გონივრულად განაგებდა ქვეყანას. შედარებით მშვიდი პერიოდი მან საქართველოს კეთილდღეობისთვის გამოიყენა – ააშენა და განაახლა ეკლესია-მონასტრები, გაამაგრა რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ციხე-სიმაგრე...

მონღოლების გადაწყვეტილებას მისი სიკვდილით დასჯის შესახებ ქართველები აღშფოთებით შეხვდნენ. დარბაზი გაკვირვებული მისჩერებოდა სიცოცხლით სავსე მეფეს, რომელიც ერის გადასარჩენად აშკარა სიკვდილზე მიდიოდა: „არა დავიშლი ურდოში წასვლას, დავსდებ სულსა ჩემსა ერისთვის ჩემისა“. მადლიერმა ქართველმა ერმა მას დემეტრე თავდადებული უწოდა.

**გიული ლიპარტია**

### სეპარატისტებთან

# კოკოითს ჯერ ყვითელი ბარათი ამოუღეს, მერე?..

**ოს სეპარატისტთა ლიდერის ედუარდ კოკოითის განკარგულებით ე.წ. სამხრეთ ოსეთში „მინისტრები„ ვალდებულნი არიან პირადად მიიღონ მოქალაქეები საჩივრებისა და წინადადებების მოსასმენად. უკვე შედგენილია მიღების გრაფიკიც. ჩატარებულ შეხვედრებზე კი „მინისტრები“ ვალდებულნი არიან ანგარიში პირადად ოს სეპარატისტთა ლიდერს ჩააბარონ.**

თავად სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში აცხადებენ, რომ ედუარდ კოკოითისა და ვადიმ ბროვცევის დაპირისპირება ახალ ფორმებს იძენს. როგორც ჩანს ედუარდ კოკოითმა წინასაარჩევნო ბრძოლისა და ბროვცევთან ბრძოლის გაერთიანება გადაწყვიტა. ამასთან ერთად კი მას იმის დემონსტრირება სურს, რომ იგი ხალხზე ზრუნავს.

„ოს სეპარატისტთა ლიდერს ედუარდ კოკოითსა და მისი ე.წ. მთავრობის „პრემიერს“ ვადიმ ბროვცევს შორის დაპირისპირება უკვე მეორე წელია მიმდინარეობს. სრულიად გასაგებია, რომ კონფლიქტის სხვა მიზეზი – ე.წ. პრეზიდენტსა და მოსკოვის მიერ დანიშნულ და ამავე მოსკოვის მიერ „პრეზიდენტად“ აღიარებულ „პრემიერს“ შორის გარდა ფულისა არ არსებობს. არადა, ამ კონფლიქტშიც კი ყველაზე მთავარია, აჩვენო ხალხს შენი სუფთა აზრები.

აღსანიშნავია, რომ ივნისის შეხვედრაზე ამ ორ კონფლიქტში მყოფ ადამიანებთან რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა მხარი დაუჭირა ბროვცევს და კოკოითს უთხრა, თავი დაენებებინა მისთვის. ამავე დროს კოკოითს დაქვემდებარებული პარლამენტი მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმს განიხილავდა, რომელიც საბოლოო ჯამში მიღებული მაინც ვერ იქნა, – წერს ოსი ჟურნალისტი და აღნიშნავს, რომ თებერვალში გამართულ ამავე ფორმატის შეხვედრაზე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღდგენის ახალი საინვესტიციო ეტაპი იწყება. კოკოითისთვის ახლა მნიშვნელოვანია, ყველას დაანახოს, რომ იგი კვლავინდებურად რაღაცას წარმოადგენს.

**ХО-ЭИВ-ЭНО**

### დაიჯესტი

## ეჰ, ცხოვრობს ხალხი!..

**თურმე, ნუ იტყვით და მსოფლიოში ცხოვრებით ყველაზე კმაყოფილი ხალხი დანიასა და შვეიცარიაში ცხოვრობს.**

ეს მონაცემები შვეიცარიის საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა, რომლის სოციოლოგებმა მასშტაბური გამოკითხვა მთელ მსოფლიოში ჩაატარეს. „ყველაზე ბედნიერი ხალხის“ ათეულის „ჩამკეტნი“ იტალიელები არიან.



## „მე შენ გეყრები!“

**პოლიგამია უხსოვარი დროიდან არსებობს. მაგალითად, იუდეველთა მეფე სოლომონს ათასი ცოლი ჰყავდა...**

ჩვენს დროში პოლიგამია ოფიციალურად მხოლოდ რამდენიმე მუსლიმურ ქვეყანაშია აღიარებული. ისლამი ყოველ მამაკაცს ოთხი ცოლის ყოლის უფლებას აძლევს, ოღონდ იმ პირობით, თუ თითოეული მათგანი სხვებთან ერთნაირ პირობებში იქნება. სურვილის შემთხვევაში, მამაკაცს თავისუფლად შეუძლია არასასურველ ცოლთან გაყრა: საამისოდ მან ქალს სამჯერ მხოლოდ „მე შენ გეყრები!“ უნდა უთხრას.

მეორე მსოფლიო ომის დროს სხარტი გონების ამერიკელი ქალები ერთდროულად რამდენიმე სამხედრო მოსამსახურის „ცოლობას“ ახერხებდა, რათა შესაბამისი შეღავათები ჰქონოდა. მაგალითად, 1944 წელს ტეხასელი ლინდა სერვიკი სასამართლოს წინაშე იმ ბრალდებით წარსდგა, რომ ერთდროულად... რვა ქმარი ჰყავდა!

### ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ადოლფ ჰიტლერს ძალიან უყვარდა უცხო ადამიანების ხელისუფლების თვალიერება. მას უზარმაზარი ძვირფასყდიანი წიგნი ჰქონდა, რომელშიც წარსულში ცნობილი ყველა ადამიანის ხელისგულების ანაბეჭდები იყო აღნუსხული. ჰიტლერი ყოველთვის აჩვენებდა სტუმრებს ამ წიგნს და განსაკუთრებით ამაყობდა იმით, რომ მისი ხელისგულის ანაბეჭდი ძალიან ჰგავდა ფრიდრიხ დიდის ხელისგულების ანაბეჭდს.

● ინგლისის მეფეთაგან რიჩარდ III იყო უკანასკნელი, ვინც ბრძოლის ველზე დაიღუპა.

● ლეონარდო და ვინჩი შეძლებული ნოტარიუსისა და გლეხის ქალის უკანონო შვილი იყო.

● „ამათ ვერც ვერაფერი ისწავლეს და ვერც ვერაფერი დაივიწყეს“, – თქვა თანამემამულეებზე ელბიდან დაბრუნებულმა ნაპოლეონმა.

● „ღმერთები რომ ადამიანებზე ზრუნავდნენ, კარგი ადამიანები კარგად იცხოვრებდნენ, ცუდი ადამიანები კი – ცუდად. სამწუხაროდ, ასე არ ხდება“, – ამბობდა რომაელი პოეტი და დრამატურგი ენიუს კვინტუსი.

● „ისტორიას არ ახსოვს მსგავსი მაგალითი, რაც მეცნიერებმა ამ ორ ოქროს წელიწადში მიაღწია“, – წერდა ისააკ ნიუტონის ბიოგრაფი და ეს გახლდათ 1665-1666 წლები, როდესაც კემბრიჯში შავი ჭირი მძვინვარებდა და ნიუტონი იძულებული იყო, ეპიდემიას თავის სოფელში დამალვოდა, სადაც მას ვაშლი დაეცა თავში.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

**იყიდება, ქირავდება!**
ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

### კადრი



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7039 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3650 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7283 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9315 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +11 |
| ქუთაისი. | +3 – +10 |
| ბათუმი. | +3 – +8 |
| ზუგდიდი. | +3 – +10 |
| თელავი. | +2 – +11 |

### ანეკდოტები

– იცოდეთ, ყურადღება მომაქციეთ, თორემ ავდგები და სამინისტროში გიჩივლებთ! – ემუქრება უფულო პაციენტი მკურნალს.
– კი, თუ ადგები...

* * *

– ვინაა მაი კაცი? – ეკითხება გურული ძმაკაცს.
– აფერისტია!
– რას აკეთებს!
– არაფერს!



– ექიმო, რა არის დაორსულებისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალება?
– მამაკაცად დაბადება.

* * *

– რატომ გიყვართ მამაკაცებს გრძელი პიჯაკების ტარება? – ეკითხება მარო მიხოს.
– იმიტომ, რომ თქვენი მოკლე კაბებით გამოწვეული აღფრთოვანება დავმალოთ.

* * *

– ერთი პური მომეცით, თუ შეიძლება.
– თეთრი თუ შავი?
– არა აქვს მნიშვნელობა, ბრმისთვის მიმაქვს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.